# საერთო გაზეთი

№34 (673)
ოთხშაბათი
19 ოქტომბერი, 2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## 13 წლის მარიტა ის ტყვია აღმოჩნდა, რომელმაც სრულიად საქართველო გულში დაჭრა



### ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის საქმეზე 9 პირია დაკავებული

დაკავებულთა შორის არიან კომპანია „გრინსერვის პლუსის“ ხელმძღვანელი და თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ასევე, დაკავებულია შპს „გრინსერვის+“-ის საქმის მწარმოებელი და შპს „ნიუ მეტალ დიზაინის“ წარმომადგენელი; „გრინსერვის +“-ის კიდევ ერთ თანამშრომელს ბრალი წარედგინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების წაქეზებაში. დაკავებული არიან შპს „მშენექსპერტის“ დირექტორი და ამავე კომპანიის ინსპექტორი, რომელთაც ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღებაში ედებათ ბრალი. ასევე, დაკავებულია 2 კერძო ელექტროშემდუღებელი, მათ ბრალი ედებათ სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევაში, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.





## ნანა კაკაბაძე: სტრატეგიული პარტნიორები საქართველოს განადგურებას მოითხოვენ, რათა მსოფლიოს აჩვენონ, რომ რუსეთი მონსტრია!

## ელიშერ გვენეტაძე: მსოფლიო ბირთვულ საფრთხესთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა

ვინმეს სჯერა, რომ პუტინმა თუ შეატყო, მარცხდება, ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს?!






## „კონტინენტთაშორისი ფეხბურთი უკრაინაში“

## არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლება ნატო-სა და ევროკავშირის „სიტუაციური მძევალია“

## ლოიდ ოსტინი: რუსეთის გამარჯვება უკრაინაში ნატოს დამარცხება იქნება

## ლევან ჭიღლაძე: რატომ უნდა დაბრუნდეს ფიზიკური პირებისთვის იპოთეკური სესხების აღების უფლება და რა სიმახინჯე მივიღეთ საბანკო რეგულაციების შედეგად?

## ყირიმზე გახსენებული საქართველო

## როგორ მოვიქცეთ, წამალი საწამლავად რომ არ იქცეს

## ნობელის პრემიასთან დაკავშირებული ყველაზე ხმაურიანი სკანდალები



## რეზოლუციაში ჩაკვეხებული ფაფაჯვია

# 13 წლის მარიტა ის ტყვია აღმოჩნდა, რომელმაც სრულიად საქართველო გულში დაჭრა



13 ოქტომბერს 13 წლის მარიტა წავიდა...

იმ დღეს დიდი მერაბ კოსტავას სულისთვის უნდა მიგვეგო პატივი...

13 წლის მარიტა ის ტყვია აღმოჩნდა, რომელმაც სრულიად საქართველო გულში დაჭრა...

რამდენიმე საათში მისი სახელი მთელმა საქართველომ გაიგო…

უამრავმა ადამიანმა დაიტირა გოგონა...

კლასელების დასახმარებლად შეწირული მარიტას სიცოცხლე არასდროს მიეცემა დავიწყებას და ეს ლოზუნგი არაა, ესაა გულიდან ამოხეთქილი სიმართლე — გოგონა, რომელის ტრაგიკულმა აღსასრულმა ცრემლის გაშრობამდე შეგვძრა...

ტრაგედიას ჰყავს სამოქალაქო გმირობის მაგალითი, ვაკის პარკის მებაღე დევი მეზურნიშვილი, რომელმაც მარიტას მეგობრები გადაარჩინა, მარიტას გადარჩენა კი ვეღარ შესძლო.

დევი მეზურნიშვილი: „ყველა შველას ითხოვდა. მე ახლოს ვიყავი, ჩემს სამუშაოს ვასრულებდი. ყვირილის ხმა გავიგე. ჩავედი წყალში და ჩაძირული ბავშვები დავინახე. არც მიფიქრია, დენი თუ იყო, მაგრამ რომ ჩავედი, მივხვდი. რასაც გავუძელი, იძულებით მივუახლოვდი და კინაღამ მეც შიგ დავრჩი. სამივე ბავშვი წყალში იყო. მაღლა არ ამოვსულვარ, ხალხმა გამომართვა ბავშვი. მერე შევბრუნდი, ვცდილობდი მეორესთან მიახლოებას. დრო დამჭირდა, დენი არ მიშვებდა. შევძელი მისი გამოყვანაც. შევბრუნდი მესამის გამოსაყვანად, ამ დროს დენი მომძლავრდა... ვეღარ მივდიოდი იქამდე“...

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რასაც მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება. გამოძიების მსვლელობისას დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, რაც გულისხმობს ელექტროობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს...

ტრაგიკულია 13 რიცხვი თბილისისთვის. გვახსოვს 13 ივნისი, მსხვერპლიც, მაგრამ დავივიწყეთ გამომწვევი მიზეზები. ვინ, სად, როდის, რატომ, რა ნაღმი ჩადო...

ვაკის პარკის ტრაგედიის შემდეგ, ყველას აინტერესებდა კომპანია რომელმაც აღნიშნული პროექტი განახორციელა. „ორი გვამის ბრატვა“ იმდენ ტალახს ესროდა ქალაქის მერს და „ქართულ ოცნებას“ რომ ნათელი იყო, რატომღაც კუდი ეწვოდათ.

მალევე გაირკვა, რომ ვაკის პარკის პროექტი 2007 წელს დაფუძნებულმა შპს „გრინსერვისმა“ განახორციელა. უფრო სწორედ, „გრინსერვისი +“-მა. გრინსერვისის დამფუძნებლები კობა ხარშილაძე და ლაშა ფურცხვანიძე გახლდნენ. ძველი თბილისის ყოფილი გამგებელი და მოადგილე. „ყოფილები“ 2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე იყვნენ დაკავებულები. გამოძიების ინფორმაციით, ძველი თბილისის რაიონის გამგებელმა ლაშა ფურცხვანიძემ და მისმა მოადგილე კობა ხარშილაძემ 2007 წლის პირველ მაისს, ნაცნობების: მარინა მურცხვალაძის, მამუკა მურვანიძის, გელა ქავთარაძის და კობა ყორღანაშვილის მეშვეობით დააფუძნეს შპს „გრინსერვისი“, რომლის ფაქტობრივი მფლობელები და ხელმძღვანელებიც მისი დაფუძნების დღიდან იყვნენ თვითონ. ძველი თბილისის გამგეობის სატენდერო კომისიის წევრები ფურცხვანიძე და ხარშილაძე ტენდერს აცხადებდნენ სწორედ მათი დავალებითა და მათ მიერვე შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით, შპს „გრინსერვისი“ ინტერესთა კონფლიქტის ვითარებაში მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა ძველი თბილისის გამგეობის მიერ გამწვანებით სამუშაოებზე გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში, რომელიც ცხადდებოდა უშუალოდ იმ ოდენობისა და სახეობის ხე-მცენარეებზე, რომელიც წინასწარ შეძენილი ჰქონდა კომპანიას.

2010 წლის 16 ნოემბერს საზოგადოების რეალურმა დამფუძნებლებმა შეცვალეს საწარმოს ფიქტიური დამფუძნებლები და თანაბრად გაიყვეს ფირმის 100 %-იანი წილი მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის საწარმოს კაპიტალი შეადგენდა 1 381 487 ლარს. წილებზე საკუთრების მოპოვების კანონიერად წარმოჩენისათვის შეადგინეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები 100% წილის 400 ლარად შესყიდვის თაობაზე. წილების ოფიცილურად გადაფორმების შემდეგ, 2011 წლის 10 თებერვალს, იმავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს ლაშა ფურცხვანაძემ და კობა ხარშილაძემ სამ ეტაპად განახორციელეს შპს „გრინსერვისის“ მეშვეობით უკანონოდ მიღებული შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემა 1 927 237 ლარის დივიდენდად გატანის გზით.



მოკლედ, „გრინსერვის+“-ად გადაქცეული „გრინსერვისის“ საეჭვო რეპუტაციის კორუფციულ გარიგებებში მხილებული დამფუძნებლები 2013 წელს მძიმე ბრალდებით დააკავეს. ეშმაკთან დადეს ხელშეკრულება თუ ესმაკის მსგავსთან, ფაქტია, რომ განსაკუთრებით მძიმე ბრალდებისგან თავი 400000-400000 ლარად დაიძვრინეს. ჰოდა,გადახდილ თანხას ამოქაჩვა ხომ უნდოდა? მიდგნენ მოდგნენ, ბიჭები, შეაწუხეს ხალხი და 2013 წლის შემდეგ უფრო „გაივაკეს“. თუ „ფლანგვის დეტექტორის“ ინფორმაციას ვენდობით, შპს „გრინსერვისი +“-ს 2013 წლიდან დღემდე ტენდერების გზით დაახლოებით 41 256 287 ლარი აქვს მიღებული, ხოლო გამარტივებული შესყიდვებით 582 409 ლარი.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილი კორუფციული სქემების მიუხედავად, რომელშიც მათი თქმით, დასტურდებოდა შპს „გრინსერვის +“-ის დამფუძნებლების ჩართულობა კორუფციაში, სახელმწიფო უწყებებმა უპრობლემოდ განაგრძეს კომპანიასთან თანამშრომლობა, კერძოდ, „გრინსერვისი +-ს“ 2013 წლიდან დღემდე 222 ტენდერში აქვს მონაწილეობა მიღებული და აქედან 42%-ში გაიმარჯვა.

კობა ხარშილაძე, მოგეხსენებათ, ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი გახლდათ. ამბობენ, დაუფასდაო პრემიერის მტრების მხარეს დგომა...

ჩვიდმეტი წელია, დუმს ხარშილაძე, მას ხელი არ ახლეს, ხოლო საზოგადოებას თვალში ნაცარი აყარეს...

იაშარ უსუპოვის ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკაში ექსპერტიზისთვის მისი შვილის ერთი ფეხსაცმელი გაიგზავნა, ხოლო იქიდან ორი დაბრუნდა, თანაც დანომრილი, ეს ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ გაყალბების მცდელობა ოკეანის გაღმიდანაც იყო...

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მთელ ამ პროცესებს თვალს ადევნებდა ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს უფროსი ლევან სამხარაული, რომელიც ასევე უცნაურ ვითარებაში 2005 წლის მაისში მოკლეს. ჰოდა, ვინმეს იმედი აქვს, რომ ხარშილაძესა და ფურცხვანიძეს დაადანაშაულებენ? ვინ გაბედავს ამას, სამართალდამცავ ორგანოებში „ღრმად ჩაჭედილი ნაცსასტავი?“ კახი კალაძეს რომ „მისდგნენ“, კალაძემდე აღნიშნული კომპანია ვისი „კრიშით“ ლივლივებდა?

**P.S. ტრაგედია, რომელმაც უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა, მხოლოდ მიუკერძოებელი გამოძიება, კანონის აღსრულება და სამართლიანი სასამართლო გასცემს პასუხს!**

**ქეთევან ზარნაძე**

რედაქციისგან:

„ნაცები“ დავამარცხეთო... სად და ვინ ნახა დამარცხებული „ნაცები“, როცა ყველა უწყებაში ხელუხლებლად დარჩნენ და დღემდე უამრავჯერ გაჩნდა შეკითხვა ცალკეულ შემთხვევებზე, ეს უცოდინარობით არის გაკეთებული თუ ჩვეულებრივი საბოტა-



ჟია, რომელსაც ხელშეუხებელი „ბოროტი ნაცები“ ასრულებენო? მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა არ შეიძლება გამოძიების დასრულებამდე ხელი დაადო ვინმეს და მომხდარ ტრაგედიაში დაადანაშაულო.

რომელიმე პარტიის წევრობა ან სიმპათიები არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ავტომატურად დამნაშავეა ან უდანაშაულოა, ამის გასარკვევად არსებობს გამოძიება რომელიც თავის მხრივ მრავალ პროცედურას მოიცავს. „მე ვიყავი პირადად პასუხისმგებელი“, — მყისიერად განაცხადა ლაშა ფურცხვანიძემ ვაკე-საბურთალოს პოლიციის მთავარ სამმართველოში შესვლამდე, სადაც ის დაკითხვაზე მივიდა, ადამიანს სახეზე განუზომელი ტანჯვა ეხატა...

არ შეიძლება ასე ერთი ხელისმოსმით ადამიანებზე ნადირობა...

ვისაც ოდესმე შეხება ჰქონია ობიექტის მიღებასთან, ჩაბარებასა და ყველა იმ პროცედურასთან, რაც ასეთ შემთხვევაში ხდება, არგუმენტირებულად უნდა დადოს დასკვნა და არა ავადმყოფური ეჭვის საფუძველზე იშვიროს თითი რომელიმე მიმართულებით კონკრეტული პირის ან პირებისკენ.

თბილისის მერის მოადგილის, ანდრია ბასილაიას განცხადებით, ნებისმიერი პროექტის განხორციელების დროს, თბილისის მუნიციპალიტეტი იბარებს კონკრეტული ეტაპების დასრულებულ სამუშაოებს, რომელთაც თან ახლავს სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული ექსპერტის დასკვნა.

„ჩვენი უწყება ამოწმებს, აკრედიტებულია თუ არა ექსპერტი, აქვს თუ არა შესაბამისი საქ-

მიანობის შემოწმების უფლება, რაც შემოწმებულია. ასევე, დასკვნის შინაარსს – არის თუ არა დასკვნა დადებითი. ვაკის პარკის რეაბილიტაციის შემთხვევაში, დასკვნა ცალსახად, ყველა ეტაპზე იყო დადებითი. დასკვნაში ცალსახად იყო ნახსენები, რომ შესრულებული სამუშაო შეესაბამება პროექტს და პროექტი შესრულებულია ქვეყანაში არსებული ყველა სამშენებლო ნორმის მიხედვით. შესაბამისად, ჩვენს თანამშრომლებს უფლებაც არ ჰქონდათ, არ გაეცათ თანხმობა ჩაბარებაზე. თბილისის მუნიციპალიტეტს არ და ვერ



ეყოლებოდა ყველა დარგის ექსპერტი, რომ შესაბამისი ექსპერტიზის ექსპერტიზა მომხდარიყო. ჩვენს თანამშრომელს არ ჰქონდა შესაბამისი ლეგიტიმაცია, ეჭვი შეეტანა სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული ექსპერტის დასკვნაში.

ზოგადად, როგორც გარემოს დაცვის სამსახური, ისე მერიის სხვა ნებისმიერი საქალაქო სამსახური, ასევე, სახელმწიფო უწყება, ერთნაირად აწარმოებს საქმეს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში. როდესაც მივიღეთ გადაწყვეტილება კასკადის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, შევადგინეთ ტექნიკური დავალება რეაბილიტაციის პროექტზე, სადაც ჩადებული იყო ყველა ის მოქმედი სამშენებლო ნორმა თუ სტანდარტი, რომელიც ქვეყანაში გვაქვს. ამის საფუძველზე შემუშავდა პროექტი და შემდგომ მოხდა ამ პროექტის ექსპერტიზა, რომელიც ჩაბარდა დედაქალაქს. ეს არის პირველი ეტაპი. ამასთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია, როგორც ექსპერტიზაზე, ასევე თვითონ პროექტზე თუ ტექნიკურ დავალებაში ჩადებულ მოთხოვნებზე, განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე, იმიტომ, რომ ეს მოხდა ჩვეულებრივად, ტენდერის გზით. შემდგომ, როცა ჩავიბარეთ დაექსპერტებული პროექტი, განხორციელდა მეორე სახელმწიფო შესყიდვა – მეორე ტენდერი უკვე უშუალოდ სამუშაოებზე. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ არ შევისყიდეთ ცალკე შადრევანი, ცალკე ელექტროგაყვანილობა ან რამე კომპონენტი – ჩვენ შევისყიდეთ კასკადის რეაბილიტაციის სრულყოფილი პროექტი, რომელიც მოიცავდა ყველა საჭირო კომპონენტს.

როდესაც დაიწყო პროექტის განხორციელება, გარკვეული ეტაპი ჩაბარდა დედაქალაქს. მაგალითისთვის, პირველი ეტაპი იყო სადემონტაჟო სამუშაოები. როდესაც დასრულდა დემონტაჟი, შესაბამისი მიღება-ჩაბარება, დაექსპერტებული, რომელსაც ხელს აწერს ქვეყანაში აკრედიტებული ექსპერტი, ჩაბარდა დედაქალაქს. ჩაგვბარდა რამდენიმე ასეთი ეტაპი და ყველა ეტაპი არის დაექსპერტებული, მათ შორის, შადრევნის ნაწილი. თვითონ შადრევნის ნაწილის საექსპერტო დასკვნა არის 500 გვერდზე მეტი, დევს სახელწიფო შესყიდვების ვებგვერდზე და მისი ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, – აღნიშნა ანდრია ბასილაიამ.

ჩვენი მთავარი ინტერესია, რომ გავარკვიოთ, თუ რატომ არ იმუშავა უსაფრთხოების ამა თუ იმ მექანიზმმა, რომელიც ჩადებული იყო პროექტში. ჩვენ სრულად ვთანამშრომლობთ გამოძიებასთან და ნებისმიერი ჩვენგანი მზადაა, აგოს პასუხი, თუ რაიმე ბრალეულობა გამოიკვეთება".



თუნდაც, როგორ წარმოუდგენია ვინმეს, რომ იმ პარტიასთან შეხებაში მყოფ პირებს აეკრძალოთ პროფესიული საქმიანობა რომელსაც ნახევარმა მილიონმა ამომრჩეველმა მისცა ხმა?

იქნებ, სისტემაშია დიდი ხარვეზი თუნდაც იმ მხრივ, რომ გამოცხადებულ ტენდერებს აუცილებელ პუნქტად ადევს ბოლო ხუთი წლის გამოცდილება. ეს ხომ პირდაპირ იძლევა იმის საშუალებას, რომ მუდმივად იტივტივონ იმ შემსრულებელმა კომპანიებმა, რომლებმაც მანამდე დაიკავეს ეს ნიშა და უცვლელად მიჰყვება ერთი ხაზი შიდა გარიგებებითა და „ატკატებით".

შადრევნის ბოლო ექსპერტიზა 29 აგვისტოს ჩატარდა. ინსპექტირებას ჰყავს შესაბამისი ხელმომწერები და ეს ყველაფერი დევს სატენდერო დოკუმენტაციაში. შადრევანთან მომუშავე ექსპერტ-კრიმინალისტები ცდილობენ იპოვონ მიზეზი, კონკრეტულად სად იყო ხარვეზი, რამაც ეს ტრაგედია გამოიწვია და შემდეგ უნდა გაჰყვეს გამოძიება ჯაჭვს. ვერტიკალი არის საკმაოდ ბევრი რგოლისგან შემდგარი. ეს ეხება როგორც დამკვეთს, ამ შემთხვევაში მერიის შესაბამის სამსახურებს, მერიის გარემოს დაცვის სამსახურს, შემდეგ უკვე ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას და მის ქვეკონტრაქტორებსაც, რომლებსაც კონკრეტული სახის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ. ყველა პასუხისმგებელი რგოლი ამბობს, რომ დღეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას, თუმცა, გამოძიების დასრულებას დაველოდოთ, ვნახოთ, იქნებ ერთი კაცის კი არა, კომპლექსურად დადგეს პირთა წრის პასუხისმგებლობის საკითხი.

ვაკის პარკის შარდრევნის პროექტი შპს „ელემსის" მომზადებულია, რომელთაც გამოძიებას მიაწოდეს უპირველესად დოკუმენტაციის სრული ელექტრონული ვერსია, შემდეგ კი გამოძიების კითხვებს პასუხობდნენ დაკითხვაზე. როგორც მათი ადვოკატი ამბობს, შპს „ელემსის" მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია პასუხობს ყველაზე მაღალ სტანდარტებს. უსაფრთხოების კუთხით, პროექტში ჩადებული იყო უკანასკნელი ევროპული სტანდარტი...

ასეთი კატეგორიის საქმეებზე ჭეშმარიტება უცბად ვერ დადგება, მაგრამ აუცილებლად დადგება. მანამდე, კითხვები ტრიალებს: რატომ იყო შადრევნის აუზში შემავალ კაბელში დაზიანება ორ ადგილზე, როდის დაზიანდა და რანაირად და კიდევ, როგორ ჩაირთო და გამოირთო დენი თავისით? სწორედ ეს არის გასარკვევი, რადგან სოციალურ ქსელში გავრცელდა იმ ტრაგედიის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ როდესაც მოზარდები შადრევნის აუზში ჩადიან, წყალში დენი არ არის, ყმაწვილები ჩვეულებრივ დააბიჯებენ და უეცრად ჩანს შემზარავი კადრი, უცბად ირთვება დენი. როდესაც დევი მეზურნიშვილი ჩადის მათ საშველად, მაშინაც დენია და შემდეგ დენი ისევ ითიშება, მისი სიტყვებია: „მესამე ბავშვის გამოყვანის დროს დენი გაითიშა".

ყველა შემთხვევაში, როდესაც ქალაქის მერი ხარ, დაქვემდებარებული სამსახურები გაწმენდილი უნდა გყავდეს უმეცრებისა და ქვეყნის მტრებისგან; მერიაში არ უნდა იყოს სისტემური ჩავარდნა ტენდერებთან, ზედამხედველობასთან, უფლებამოსილების გადანაწილებასთან დაკავშირებით...

ტრაფარეტით „ბავშვების მკვლელი „ოცნება", „გადადგეს ბავშვის მკვლელი ქალაქის მერი!" ოცკაციან აქციებს რომ მართავენ ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიით ვითომ გულდათუთქული ოპოზიციონერები, ეს აქციები ყველაზე ნათლად აჩვენებს ნაცებისა და მათი ანასხლეტების რეალურ მიზანს. ვინ დგას იქ, საიდან გაჩდნენ სხვის უბედურებაზე საკუთარი „ბედნიერების ამწყობები" სოციალურ ქსელში არსებული მიმოწერიდან დასტურდება, რომელსაც რეალური ავტორები ჰყავს. პარალელურად, მათსავე რუპორ ერთ-ერთ ტელევიზიაში („მთავარი") წამყვანი ქეთა ციცქიშვილი ტრაგედიასთან დაკავშირებით კახა კალაძის გადადგომის მოთხოვნით დაგეგმილ აქციაზე საუბრობს და მთელი საუბრის განმავლობაში გაბადრული სახით ხმით იცინის... მათ მომხდარი უბედურება ანაღვლებთ? არა! მხოლოდ კახა კალაძის გადადგომის მოთხოვნა და შესრულებაა მათთვის საინტერესო... ნატა ფერაძეებისა და მაქარაშვილების სულიერ ბარტყებს ტავიანთივე ხელმომჭირნე დამფინანსებლებიდანაც არავინ უერთდება გამოსაჩენად, რადგან თავისთვის კარგად იციან რომ კიდევ ერთხელ გაფარჩაკდებიან...

ქალაქის მერი არ უნდა გადადგეს, რადგან მტერ-მოყვარემ იცის, რომ ის ნამდვილად არჩეული მერია, მაგრამ დავუშვათ, აიღო კახა კალაძემ სრული პასუხისმგებლობა, ყველას ნაცვლად აგო პასუხი, რას ვიღებთ, რომ საეჭვოდ თუ სხვა მიზეზით მომხდარი ტრაგედიის რეალური დამნაშავეები დაუსჯელები დარჩნენ? ვაქციოდ კახა კალაძე განტევების ვაცად და აღარ დავინტერესდეთ სიმართლით და სრულად გადავხაზოთ სამართალი?

კმარა სისხლის სუნზე დაგეშილი ხროვის ადამიანურ ტრაგედიებზე ხელის მოთბობის მცდელობები!

მათი ასარევი სამშობლო ჩვენ არ გვაქვს!

ღირსეული გლოვა მაინც ისწავლეთ, სხვების ტრაგედიებს გამოკიდებულო ტურებო!









# „კონტინენტთაშორისი ფეხბურთი უკრაინაში"

ცალკეული პირები თუ პოლიტიკური პარტიები უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიციის მისამართით უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და პირდაპირ მოითხოვენ საქართველოს ჩართვას რუსეთ-უკრაინის ომში. რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა ამ მოცუცქნულმა საქართველომ და მეტი რაღა ქნას თვითონ იმავე რუსეთის მიერ ოკუპირებულმა, ტერიტორიებჩამოგლეჯილმა და დედაქალაქიდან ორმოც კილომეტრში რუსის ჯარი რომ უდგას გაპაპაჯორებული? დღეს რომ თავზე ბომბები არ გვაცვივა, დენი გვაქვს, წყალი და გაზი, არ გვშია და არ გვცივა, სწორედ საქართველოს ამ ხელისუფლების დამსახურებაა, თორემ სხვა ხელისუფლებების დროს რაც დაგვემართა, ვინც არ შესწრებია, გადმოცემითა და მოცემულობით მაინც ხომ უნდა გაიაზროს, რატომ არ ასვენებთ გამჩენი?




თვით უკრაინაში რაც ამჟამად ხდება, ერთ დღეში ხომ არ დაწყებულა, ჰქონდა წინაპირობა და დადგა ეს საშინელებაც. ადამიანს ხმა ვერ ამოგიღია, მაშინვე თავს დაგესხმიან ქართველი ურაპატრიოტები, ვითომ უკრაინაზე ფიქრში ღამენათევები და მოგაკრავენ „რუსეთუმეს" იარლიყს. ე.წ. სახალხო დამცველიც კი იმას რომ იტყვის, დიახ, უნდა ცვიოდეს ბომბები საქართველოშიცო, სხვას რაღა ჭკუა უნდა მოჰკითხო. არადა, რომ გადახედავ ამ „ურაპატრიოტებს", არც ერთი არ არის თოფ-იარაღის ხელში დამჭერი, მიადგებიან საზღვარს და შარვალჩახდილები უკანალს უჩვენებენ, ბრძოლის ახალი სახეობა მოიგონეს. მამაცხონებულო, კაცი რომ ხარ და რუსეთთან მეომრად მოგაქვს თავი, შეგრცხვეს მაინც უკანალის გამოჩენისა, შიშველი საჯდომით ვის რა უნდა დააკლო...

საუკუნეების უკან ხომ არ იყო, აგერ ახლახან თქვა უკრაინელმა: „უკრაინა სხვის მოედანზე არსებული ბურთის როლშია, რომელსაც უამრავი ფეხი ურტყამს, რომლებისთვისაც ჩვენ, უკრაინა, პაიკს წარმოვადგენთ — ესაა ყველაზე არასასიამოვნო," — განაცხადა უკრაინის პარლამენტის რეგიონების პარტიის დეპუტატმა ვადიმ კოლესნიჩენკომ. იცოდნენ, იციან და მაინც სისხლი, მაინც სიკვდილი, მაინც ჩამქრალი სიცოცხლეები, რატომ!

და ვინ არიან ის „ფეხები"?

არყიეს, არყიეს უკრაინა და მოუტანეს ომი. საქართველოც რომ ამ სცენარში იყო ჩაწერილი ვიღაცების მიერ. რომ არ გამოსდით, ამაზე არიან გადარეულები შინ და გარეთ... მოკლე მეხსიერების ბრალი არ უნდა იყოს, მაგრამ თუ ასეა, გავახსენოთ, ბატონო! ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, მაგრამ არის რაღაცები, რაც არც დავიწყებულია და არც ძველია, უბრალოდ, როგორც ჩანს, უნდა შევახსენოთ ვიღაცებს, რომ ყველაფერი გვახსოვს, ყველაფერი ვიცით...

„გარე ძალები უკრაინაში „არაბული გაზაფხულის" უკრაინული ვარიანტის შექმნას უყრიან საფუძველს. ამ თამაშის დაფინანსებაზე აშშ-მ ბოლო 10 წლის განმავლობაში 10 მლრდ-მდე დოლარი დახარჯა. ეს არ არის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სამუშაო ადგილები თუ ახალი წარმოებების შექმნა... აშშ ამაყობს იმით, რომ უკრაინაში გადატრიალების ორგანიზებისთვის და ბოევიკების მოსამზადებლად 5 მლრდ დოლარი გადასცეს ე.წ. დემოკრატიულ ინსტიტუტებს ქვეყანაში, ხოლო ევროკავშირმა, თავის წილად — 3,5 მლრდ ევრო (**«Открытая политика»**).

ვითომ, რაიმე მოეჩვენა კოლესნიჩენკოს?

ვიცით და გვახსოვს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ვიქტორია ნულანდისა და უკრაინაში ამერიკის ელჩის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ამერიკელი დიპლომატები უკრაინაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ წარმოებას განიხილავდნენ და სახელმწიფო მდივნის მოადგილე უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებდა ევროკავშირს. მათ საუბარში იკვეთებოდა შიშიც, რომ თუ სწრაფად არ იმოქმედებდნენ, რუსეთი აჯობებდა მოვლენების მართვაში. ის არ უთქვამთ, რომ ფალსიფიკაციააა, როგორ გეკადრებათო, არა, აღნიშნული საუბრის გასაჯაროებაში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რუსულ სპეცსამსახურებს ადანაშაულებდა...

ყველა იმ ამერიკელი პოლიტოლოგის სიტყვების ციტირება, რომლებმაც გააკრიტიკეს აშშ-ის პოლიტიკა უკრაინასთან მიმართებაში ერთი მათგანის, რონ პოლის სახელობის (ვაშინგტონი) ინსტიტუტის პოლიტოლოგის დენიელ მაკ-ადამსის ნათქვამშია მოქცეული: „უკრაინის მთავრობამ ვიქტორია ნულანდისა და ჯონ მაკკეინის მსგავს პოლიტიკოსებს ქვეყანაში შესვლა უნდა აუკრძალოს. ასეთ ზომებს მიიღებდა ნებისმიერი სხვა ქვეყნის ხელისუფლება იმ პირების მიმართ, რომლებიც ორგანიზებას უწევენ სახელმწიფო გადატრიალებას მის ტერიტორიაზე. მიკვირს, რატომ აგრძელებს უკრაინა მათზე ვიზების გაცემას. აშშ, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა ასეთი პოლიტიკოსების შესვლას საკუთარ ქვეყანაში..."

„უკრაინის ოპოზიცია მაიდანზე ხელისუფლების მოპოვებისთვის იბრძვის და არა ქვეყნის განვითარებისთვის", — განუცხადა ჟურნალისტებს უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა. სამწუხაროდ, ფაქტები მართლაც მეტყველებენ იმაზე, რომ ქვეყნის განვითარების გამო არც არავინ დაპირისპირებია ერთმანეთს... საბოლოოდ, როგორც წესი, სხვები შეთანხმდებიან უკრაინის ბედზე...

მაიდანზე დაწყებული „კონტინენტთაშორისი სტატუსის მქონე ფეხბურთი" გრძელდება და ბოლო არ უჩანს, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები და მათ სისხლზე ითბობენ ხელს უკრაინის ვითომ მეგობარ-მყვარებლები. ბოდიში მომითხოვია და სულ ცალ ფეხზე არ ჰკიდიათ უკრაინა? უშურველად აწვდიან სამხედრო ტექნიკას და უკიჟინებენ, იომეთ, დაიხოცეთ, გაპარტახდით და მერე ჩვენ ახლიდან აგაშენებთო... ფაქტია, ვინც განაღვლებს, მას არ სწირავ მგლის ხახაში ჩასაგდებად. საქართველო გადარჩა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ შეიბა ორი მონსტრი... ნეტავ, ვის სჯერა, რომ უკრაინაში რუსეთ-უკრაინის ომია? კი, უკრაინელები და რუსები იხოცებიან, მაგრამ ეს ხომ რეალურად რუსეთ-„დასავლეთის", გნებავთ, რუსეთ-ნატოს ომია გავლენებისთვის. სწორედ ამიტომ გრძელდება ეს საშინელება უკრაინაში და სიტყვას არავინ ძრავს მის დასრულებაზე. არავინ გამოდის სიტყვით, რომ დასრულდეს სისხლისღვრა, პირიქით, მასშტაბების გაზრდა სურთ „ვიღაცებს" საქართველოს ჩართვით.

კი, ბატონო, ადამიანებს ადამიანურად გვეცოდებიან ომში მყოფები, მაგრამ მაინცდამაინც ჩვენ რატომღა უნდა შევეწიროთ უკრაინას? თან, ცოტა არ იყოს, უცნაურად ხომ არ ვართ დამეგობრებულები? ქვეყნებს შორის მეგობრობა ორმხრივი აქტია, ჩვენ კი რაღაც უცნაურად გამოგვდის ეს მეგობრობა, ისე გამოდის, რომ ჩვენ ვართ უკრაინის მეგობრები, მათ კი ერთი კონკრეტული პარტიის და მათი ხელისუფლებაში არყოფნის გამო ფეხზე ვკიდივართ სრულიად საქართველო. გასაოცარი ამბავია სწორედ, 46-მილიონიან უკრაინაში უკრაინელები ვერ გამოძებნეს და საქართველოს მართლმსაჯულებას გაქცეული ქართველი კრიმინალები ჩამოარიგეს თანამდებობებზე, ააწყობინეს ბიზნესები და ეფოფინებიან. აქეთ მეორე „მეგობარმა" აგვიკრძალა მავნებლებზე ხელის ხლება და ხმის გაცემა და ასე გაუგებრად მიგვაბეს უკრაინას. დგანან ახლა და გაღმიდან გვედავებიან რაღაცას, ქართველი ხალხი კარგი ხართ, ხელისუფლება არ გივარგათო. რატომ არ გვივარგა, რადგან „ნაციონალები" არ არიან ხელისუფლებაში და „ქართული ოცნებაა", რომელიც მაღლსა და ღორს არ უსრულებს ოცნებებს? თითქოს ჩვენი შიდა მავნებლები არ გვკმაროდეს, აქედან ესენი მავნებლობენ და იქიდან სხვები აძლევენ ბანს. ამხელა ტერიტორი აქვს უკრაინას, ამდენი მოსახლეობა ჰყავს, შესაბამისად, ცოცხალი ძალა და რა დღეშია რუსეთი, ამ პაწაწინა საქართველომ რა უნდა მოუხერხოს რუსეთს, 8 თვე კი არა, 8 საათში დაგვამთავრებს 8 ბომბი რომ ჩამოაგდოს 8 ქალაქში. დაუჩემებიათ, „ქართული ოცნების" ხელისუფლება სანქციებს რატომ არ უწესებს რუსეთსო. ჯერ კარგად აგვიხსნან, ფაქტები დაგვიდონ, ვინც დაუწესა სანქციები, რუსეთს რა დააკლო, ვინ იზარალა და ჩვენ რა სანქციები უნდა დავუწესოთ, რას დავაკლებთ და ჩვენ რა მოგვემატება, გარდა მთლად ჩამოქცევისა.

გონიერი ადამიანების ნაკლებობა არ გვაქვს ქვეყანაში, მაგრამ ისე დაგვიყენეს საქმე, დაშანტაჟებულები ვართ, ხმა ვერ გაგვიცია სახელმწიფო დონეზე რუსეთისთვის, გვეშინია, საბჭოთა კავშირის აღდგენის ნატვრაში არ დაგვადანაშაულოს ე.წ დასავლეთმა. ეს კი არა, რუსი დეზერტირების ნაკადი რომ მოგვეძალა, ჯერ ააყვირეს ჩვენი შინაური მავნებლები, საზღვარი ჩაუკეტეთო, შემდეგ ჩააჩუმეს, კარგია, რომ აკლდებათ მეომარი ძალა და გაისუსეთო. ოკუპანტია რუსეთი და ოკუპანტად დარჩება, სანამ არ დაელაპარაკები, სანამ არ მიუჯდები მაგიდასთან დასალაპარაკებლად, სანამ არ გამოძებნი ინტერესთა საერთო წერტილს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ რა გვინდა? დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ხომ ასეა? ასეა! რუსეთს რა უნდა? არ უნდა, რომ მის სამხრეთ საზღვრებთან იყოს ნატოს ბაზები. უკრაინას რომ ნატოს დიდი სიყვარული არ ჩავარდნოდა გულში, ჯერ ყირიმის ამბავი და შემდეგ ეს უბედურება, რაც დღეს ტრიალებს, ხომ არ იქნებოდა. იყო რუსეთი უყირიმოდაც და ერთ სლავ ხალხად მოიაზრებოდნენ.

დიახ, სწორედაც რომ საამაყოა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ომში არ შეათრევს თავის ქვეყანას და არა ისეთი, რომელიც დაანგრევს და დახოცავს თავის მოქალაქეებს; არა ისეთი, რომელმაც იცის, რომ თავს დაესხმება მეზობელი და ხალხის გარიდების ნაცვლად გზას არ გაუხსნის უმწეოდ დარჩენილ ქალებსა და ბავშვებს, მოხუცებს იმ მოტივით, რომ ქაოსი დაიწყებოდაო. ომზე დიდი ქაოსი და უბედურება რა შეიძლება იყოს ქვეყნისთვის? დღეს მავნე მავანთათვის ყველაზე დიდი უბედურება მშვიდობაა!

ასეთი ამბები ტრიალებდა უკრაინაში და ლოგიკურ შედეგებამდე მივიდა, უარესი ტრიალებს და არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება, როდის მოისურვებს „უხილავთა წრე" მის დასრულებას, როდის გამოაცხადებინებენ ზელენსკის, რომ ომი აღარ უნდა; როდის ჩათვლის „უხილავთა წრე", რომ რუსეთი საკმარისად დასუსტდა. აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის საპალნე ვერ ზიდოსო და ასე გამოუვა, როგორც ჩანს, კოლექტიურ დასავლეთს. თვითონ რომ სერიოზული დისკომფორტი უკვე შეექმნათ, ხალხი აპროტესტებს, მაგრამ ხელისუფლებები ჯიუტად კოლექტიურობენ, მალე კი ყველას კართან ზამთარი მიადგება. აღდგომა და ხვალეო, ჩვენ კი მრავალგზის მადლობა უნდა ვუთხრათ ჩვენს ხელისუფლებას, რომ ომის ყულფში თავს არ გვაყოფინებენ...

**ნინო დაუშვილი**

# ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲩᲕᲔᲜᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲐ!

## ერის წინააღმდეგ ბრძოლა – ეს ფაშიზმია



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ანტიდასავლურ კამპანიაში გვადანაშაულებს. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?**

— რეალურად, ხდება ის, რომ აშშ ნამდვილ ამერიკას დაშორდა. მას, თითქმის, აღარაფერი აქვს საერთო იმ ამერიკასთან, რომელთანაც საბჭოთა კავშირის პერიოდში, პირადად ვთანამშრომლობდი და ერთად ვიბრძოდით ადამიანის უფლებებისთვის, უკეთესი მომავლისთვის და, რაც მთავარია, იმ ზოგადსაკაცობრიო, დასავლური ღირებულებების დამკვიდრებისთვის, რასაც დღეს ამერიკა უფრო და უფრო შორდება. სამწუხაროდ, აშშ ყველა იმ ქვეყანას, რომელზეც სერიოზული გავლენები აქვს,



ამ ფუნდამენტურ ღირებულებებს აშორებს. ეს საქართველოსაც შეეხო. დეგნანის შეფასებებს მხარს უჭერს თეთრი სახლის ადმინისტრაცია, სახელმწიფო დეპარტამენტი. მათი აზრით, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, კითხვის დასმა, თურმე ამერიკაზე თავდასხმა ყოფილა. ეს, თავისთავად, იმაზე მეტყველებს, რომ მათ დემოკრატია აღქმული აქვთ როგორც ამერიკაზე თავდასხმა, შეტევა. შეიძლება იფიქრო, რომ დეგნანი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, მაგრამ, როცა მას სახელმწიფო დეპარტამენტიდან ეხმიანებიან და სრულ მხარდაჭერას უცხადებენ, ეს, უკვე, სამწუხაროა. აი, ეს რეალობა გვაქვს. როცა ეკითხები: რაში გამოიხატა თავდასხმა, შეურაცხყოფა, პასუხს არ აკონკრეტებენ, ამის გაკეთებას საჭიროდაც არ თვლიან. რაც მთავარია, ის, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ცდილობს, არ იყოს ვიღაცის ვასალი, მონა, კოლონია, ეს მათ ამერიკული პოლიტიკიდან გადახვევად, ღალატად, მტრობად მიაჩნიათ. ეს მოცემულობა გვაქვს. ზოგი გამრუდებულ სარკეში იყურება და გაიძახის: ეს პარტნიორობა და მეგობრობააო!

**— გვაყვედრიან: ამერიკამ საქართველოს სუვერენიტეტის გასაძლიერებლად ბევრი რამ გააკეთაო...**

— ეს შეიძლება გაუთვითცნობიერებელ, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს დააჯერო. ალბათ, გულისხმობენ არაღიარების პოლიტიკას. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები მათი მხრიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებული არ არის. მაგრამ ეს იმიტომ გაკეთდა, რომ რუსეთი არ გაძლიერებულიყო და მისთვის უფრო მეტი გავლენის სფერო არ შეექმნათ. თორემ, ამერიკას არ გასჭირვებია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. ასე რომ, ეს ნაბიჯი ჩვენი სუვერენიტეტის გასაძლიერებლად როდი იყო გადადგმული.

**— როგორ შეაფასებთ ევროპის დღევანდელ კრიზისს?**

— ევროპა მოატყუეს. სამწუხაროდ, ამერიკულმა პოლიტიკამ, ევროპა, შეცდომაში შეიყვანა, ძალიან დაასუსტა და აშშ-ს მიაბა. თუ ევროპამ ამ ვითარებიდან გამოსავალზე არ იფიქრა, უფრო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება, ვიდრე საქართველო 1990-იან წლებში იყო. ფაქტობრივად, დღეს ევროპა სწორედ აქეთკენ მიექანება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად მოიშალა ეკონომიკა, ვაჭრობა, სახელმწიფოები ჩამოიშალა. ევროპასაც მსგავსი ელოდება, თუკი დროზე არ გამოფხიზლდა. დღეს ამერიკა მოძლიერებას სწორედ მათი ტერიტორიების მიბმით ცდილობს. იმიტომ, რომ აქეთა ფლანგზე, ფაქტობრივად, გავლენებს კარგავს. ევროპელებზეა დამოკიდებული, გონს რამდენად დროულად მოეგებიან. კი ბატონო, დაწესებული სანქციები, გარკვეული დროის მერე რუსეთზე ცუდად აისახება, მაგრამ ევროპისთვის უკვე აისახა უარყოფითად და მისი ჩამოშლა დაიწყო. **სანამ სანქციებით რუსეთს დაანგრევენ და შეასუსტებენ, მანამდე ევროპა დაინგრევა**. უკვე საუბარია ბანაობის რეგულაციების შემოტანაზე, ასევე, ტემპერატურის 17-18 გრადუსით განსაზღვრაზე. ეს სატირალი რომ არ იყოს, კომიკურია. ზამთარს როგორ გადაიტანენ, არ იციან, ხალხი ქვეყნებიდან გარბის. გვაქვს ინფორმაცია, რომ თურქეთის საზაფხულო სასტუმროები, რომლებიც ზამთარში იკეტება, ევროპელების მიერ იჯავშნება. აი, ეს მოცემულობა შექმნა ამერიკულ პიარს აყოლილმა უტვინო პოლიტიკამ. ევროპამ ვერ გათვალა ის, რაც ჩვენმა ქვეყანამ შეძლო. კერძოდ, რას მოუტანდა ქვეყანას რუსეთის წინააღმდეგ სანქციებში თავით გადაშვება და მეორე ფრონტის გახსნა. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს დროულად გაიაზრა და გადავრჩით. ევროპაში ასე არ მოხდა. ევროპა ერთიან მასად აქციეს, რომლის მართვაც სულ უფრო და უფრო იოლი ხდება. როდესაც ქვეყანას აუძლურებ, აკნინებ, ასუსტებ, დაბეჩავებულის დამორჩილება ბევრად მარტივია. დიახ, ამ პოლიტიკით ამერიკამ ევროპა მიიბა. იგი, იძულებულია ძვირადღირებული საწვავი შეიძინოს, გემებით შემოზიდული თხევადი გაზით ისარგებლოს და ა.შ. ევროპის ხელისუფლება ვერ ხვდება, რა შარში გაყო თავი. როცა ხალხის გამოსვლები, ხელისუფლების ჩამოგდების, შეცვლის მოთხოვნები დაიწყება, რაც მასობრივ ხასიათს მიიღებს, მაშინ მიხვდებიან რაც ხდება, მაგრამ გვიან იქნება.

**— ქალბატონო ნანა, კვლავ აქტუალურია მეორე ფრონტის გახსნის თემაც. ნაცების მხრიდან საზღვრის ჩაკეტვის მოთხოვნაც გაჟღერდა. რას იტყვით ამის თაობაზე?**

— მათი ინტერესი საქართველოს დამცრობა, დაკნინებაა. ნაცები იბრძვიან, რათა სახელმწიფო ჩამოშალონ. რუსები აქ, ფაქტობრივად, ტრანზიტით შემოვიდნენ და მესამე ქვეყნებში გადიან. ეს ჩვენთვის შემოსავლის წყაროა, ფული შემოედინება. რას ვკარგავთ? — რუსეთისთვის არიან დეზერტირები, თორემ, ჩვენ რას გვიშავებენ, პირიქით, ეკონომიკა ძლიერდება და არ მესმის, მათ რატომ უნდა ვკრათ ხელი და გავაგდოთ?! შე დალოცვილო, არაბებმა ნახევარი საქართველო წალეკეს, ასევე ჩინელებმა, ინდოელებმა და ა.შ. პლეხანოვზე ქართული სიტყვა აღარ ისმის. სად დგას რუსული პრობლემა? — აქ რუსული ქალაქები არ გაჩენილა. აჭარა გათურქებულია, თბილისის ნაწილი გათურქებულია. **ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲓᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲘ ᲓᲔᲖᲔᲠᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲜᲐᲦᲕᲚᲔᲑᲗ?!** ერის წინააღმდეგ ბრძოლა, გაუგებარია. ჩვენ საბჭოთა კავშირის სისტემის წინააღმდეგ ვიბრძოდით. რუსების, ინდივიდების წინააღმდეგ არასდროს გვიბრძოლია. სწორედ რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და ა.შ. ერთად ვებრძოდით რეჟიმს და არა ხალხს. **ერის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს ხომ ფაშიზმია,** რაც ბოლშევიკებსაც კი არ გაუკეთებიათ. რას ქადაგებენ, რომ ერის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ?! ეს ზუსტად ის არის, რასაც რეიგანი ამბობდა: თუ ამერიკაში ფაშიზმი მოვა, ის ლიბერალიზმის სახელით მოვაო. დიახ, ეს წინასწარმეტყველება ახდა — ფაშიზმი ლიბერალიზმის სახელით უკვე მოსულია, რაც ნახევარ მსოფლიოს და მათ შორის, საქართველოსაც მოედო. ქართველი კაცის ბუნებაში არასდროს ყოფილა სტუმრისთვის საჭმელში ჩაეფურთხებინა და დედა ეგინებინა. „დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“, — ამაზე გავიზარდეთ. ესენი ვინ არიან, სად დაიბადნენ და გაიზარდნენ ასეთი იდეოლოგიის მატარებელი ხალხი?! ამ ბინძურმა რეჟიმმა ამერიკიდან თუ არ დაიწყო დაშლა, ნგრევა, ისე ჩვენ ვერ გავთავისუფლდებით. ამიტომ, ახლა, მთელი ყურადღება ამერიკაში 8 ნოემბრის და მერე, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისკენა მიპყრობილი. ეს უბედურება იქ თუ არ დასრულდა, ისე ვერც აქ ექნება დასასრული. დიახ, სწორედ ერის და ხალხის ღირსების შემლახავი ფორმებით ბრძოლაა ჩახდილი შარვლები და პუტინ „სამი ასოს“ ყვირილი. როდის გვიბრძოლია ასე — ეროვნული ან დისიდენტური მოძრაობის დროს მსგავსი რამ უნახავთ?! სად ხდებოდა მტერთან ჩახდილი შარვლებით დაპირისპირება? ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, ქართველი კაცი მსოფლიოს შარვალჩახდილი დაანახო?!



**— შარვალჩახდილების მეთაური სამკურნალოდ საზღვარგარეთ წასვლას ითხოვს. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— მიშა ამ სიბინძურის ტიპიური სიმბოლოა. გასახსენებლად ისიც კმარა, ომში როგორ მოიქცა. მისი სტუმარი კუშნერი ინტერვიუს აძლევდა, ხოლო ეს მხდალი, ლაჩარი, ამ დროს ჩიტის გადაფრენაზე მიწაზე ფორთხავდა. ესეც არ იკმარა — ჯერ თანამდებობის გამო მოქალაქეობაზე უარი თქვა, მსგავსი პრეცედენტი ისტორიას არ ახსოვს, მერე ქვეყანაში დესტაბილიზაციის, არეულობის მოსაწყობად არაჟნის ქილებთან ერთად შემოიპარა. ალბათ, ეგონა, აქ ომის პროპაგანდას ააგორებდა. საკუთარ ქვეყანაში. ამაზე დამამცირებელი ექს-პრეზიდენტმა რაღა უნდა ჩაიდინო. ეს კაცია ქვეყნის სახე? მიშამ არაერთ დანაშაულთან ერთად — გაუპატიურება, ხალხის ჩახოცვა, ბიზნესის რეკეტი, ქვეყნის ტერიტორიების 22% გაასხვისა. დღეს პრეტენზიები აქვს — სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამიშვითო. რა მკურნალობაც სააკაშვილს სჭირდება, იმ დონის ფსიქიატრები აქაც გვყავს. უცხოეთში გასეირნება მოინდომა. ეს არარაობა გახლავთ „ნაცმოძრაობის“, ლიბერალიზმის ტიპიური სახე.

**— ერთ-ერთი მთავარი თემა 12-პუნქტიანი დავალების შესრულებაა. მიგვიღებენ ევროკავშირში?**

— მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირში წინაპირობის გარეშე მიიღეს. ვის აინტერესებს ამ რეკომენდაციების შესრულება?

7 გვ.

# მსოფლიო ბირთვულ საფრთხესთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა

## ვინმეს სჯერა, რომ პუტინმა თუ შეატყო, მარცხდება, ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს?!



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, რუსეთ-უკრაინის ომი უკვე 200 დღეზე მეტია, გრძელდება. პუტინმა რუსეთის შემადგენლობაში უკრაინის ტერიტორიების მიღებას ხელი ოფიციალურად მოაწერა. ომი ახალ ფაზაში გადავიდა. რა განვითარება აქვს ამ ყველაფერს?**

— დღევანდელი მდგომარეობით, არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, ძალიან ცუდი კონტურები იკვეთება. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს შემდეგი: მსოფლიო ბირთვულ საფრთხესთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა. ეს რუსეთსა და დასავლეთს შორის ომია. მეტსაც გეტყვით: ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორისაა. ეს წმინდა წყლის



იმპერიალისტური ომი მიმდინარეობს გასაღების ბაზრებისთვის, ნედლეულის წყაროებისთვის, იაფი მუშახელისთვის, რაც კაპიტალიზმისთვისაა დამახასიათებელი. მინდა, განსაკუთრებული ყურადღება ერთ, მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილო: კაპიტალიზმს კრიზისების პერიოდი ახასიათებს. 21-ე საუკუნის დასაწყისში აშკარად ჩანდა, რომ კაპიტალიზმი კრიზისის პერიოდში შედიოდა, რაც, საბოლოოდ, ომით სრულდება. ამის პირველი ნიშანი 2008 წელს აგვისტოს ომი იყო, რაშიც ჩვენ ჩათრეულნი აღმოვჩნდით. ეს უბედურება მაშინდელი ხელისუფლების არასწორი ქმედებების შედეგად თავს დაგვატყდა. დღეს იგივე სიტუაციაშია უკრაინა, რომლის ხელისუფლება მარიონეტია. მან ვერ შეძლო ომის თავიდან აცილება, არადა, ეს შესაძლებელი იყო. ფაქტობრივად, დიდი ბრძოლა მიდის ევროპის ბაზრისთვის, ევროპული ეკონომიკისთვის. როგორც იცით, „ჩრდილოეთი ნაკადი-2“ ააფეთქეს. საინტერესოა, ვის ინტერესში შედის ყოველივე! დღეს ევროპის ეკონომიკა კვდება, რასაც დასავლელი ეკონომისტებიც აღიარებენ. ეს კაპიტალიზმისთვის ჩვეულებრივი ამბავია. კაპიტალისტური ცხოვრების ეკონომიკისთვის ნათელია ის პროცესები, რაც დღეს ხდება. კაპიტალიზმის თანმდევია ომები, რისი დამადასტურებელიც რუსეთ-უკრაინის სისხლისმღვრელი ომიცაა. ამიტომ, ჩვენი ქვეყანა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, უნდა ეცადოს, რომ კაპიტალისტური ცხოვრების წესის ამ უზარმაზარ დაპირისპირებაში ის კურსი შეინარჩუნოს, რაც აღებული აქვს, რათა მიწასთან არ გავსწორდეთ. ისე არ მოხდეს, რომ საქართველომ მომავალში აღარ იარსებოს. შევხედოთ, რა პროცესი მიმდინარეობს ჩვენ გარშემო: აღმოსავლეთში გაძლიერდა ისეთი უზარმაზარი ქვეყანა, როგორიც ჩინეთია. ჩინეთსა და დასავლურ კაპიტალს შორის დაპირისპირებაა. ჩინეთის ეკონომიკა არნახულად ვითარდება და ეს აღმოსავლური ყვითელი რასა მსოფლიოს წალეკვით ემუქრება. ამიტომ პროცესები, რაც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, ბუნებრივად, ლოგიკურად მიმაჩნია.

**— ბატონო ედიშერ, რა დასასრული ექნება ამ ყველაფერს, თუ პუტინი ბირთვული იარაღის გამოყენებას გადაწყვეტს?**

— ეს ძნელი სათქმელია. ასეთი მომაკვდინებელი ბირთვული იარაღი არც პირველი და არც მეორე მსოფლიო ომის დროს არ ყოფილა. მეორე მსოფლიო ომი დასრულებული გახლდათ, როცა ატომური ბომბი მოქმედებაში მოიყვანეს. ზელენსკი თუ დამარცხდა, მას ფეხებით ჩამოკიდებენ, იგი გაქრება და მის კლანსაც დაღუპვა ელის. პუტინი თუ დამარცხდა, მასაც ანალოგიური ელის. ამდენად, ეს არის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მიმდინარე ბრძოლა. იმედს ვიტოვებ, გონიერება გაიმარჯვებს — მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდებიან და ამ საკითხს ისე გადაწყვეტენ, რომ კაცობრიობას ზიანი არ მიადგეს. ვიმეორებ, მოახლოებული ზამთარი ევროპისთვის უმძიმესი იქნება. ამ საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის კონტურები საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებაში გამოჩნდა: რუსეთმა ტაქტიკური იარაღი კიდეც რომ გამოიყენოს, ჩვენ მის წინააღმდეგ ბირთვულ იარაღს არ მივმართავთო. წამყვანი პოლიტიკური წრეები ორაზროვნად მიუთითებენ, რომ აუცილებელია საუბარი ბომბების გარეშე.

**— როგორც ამბობენ, დოქტრინის თანახმად, პუტინი ბირთვულ იარაღს ვერ ესვრის ქვეყანას, რომელიც ბირთვული სახელმწიფო არ არის. როგორ ფიქრობთ, ეს შეაკავებს რუსეთის პრეზიდენტს?**

— დოქტრინები, ქაღალდები, სეიფები და ა.შ., ეს ყველაფერი უკან დარჩება მაშინ, როცა პუტინი, პიროვნულად, საფრთხის წინაშე დადგება. ვინმეს სჯერა, ჰიტლერს ატომური ბომბი რომ ჰქონოდა, არ გამოიყენებდა?! ამიტომ, გამორიცხული არაფერია. დოქტრინებს, კრიტიკულ სიტუაციაში, არავინ უყურებს. ხშირად გაიგონებთ: რუსეთს თვითმფრინავები, რაკეტები გამოელიაო. ეს დილეტანტების პროპაგანდისტული შეფასებებია. რაკეტები თუ გამოელია, როგორ განახორციელა წინა კვირას უკრაინის თითქმის ყველა დიდ ქალაქზე შეტევა?! ნურავის ექნება იმედი, რომ რუსებს ზარბაზნები გამოელევათ. რუსი საბრძოლო იარაღს, სამწუხაროდ, არასდროს გამოილევს. ასე არ მოხდება. დავუბრუნდეთ ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხს: ვთქვათ, პუტინი მარცხდება. როგორ ფიქრობთ, ამ დროს ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს?! რომელი დოქტრინა შეაჩერებს?! აქვე ისიც გასათვალისწინებელია: რუსები პუტინს აცოცხლებენ? რუსი ერის ბუნებაც უნდა გავთვალოთ. ხალხი იმიტომ ითმენს და მხარდაჭერას უცხადებს (77%), რომ პუტინი დაპყრობით ომს ეწევა. დააკვირდით, თავად რუსულ სიტყვებს: ვლადიკავკაზ, რაც ნიშნავს დაიპყარი კავკასია, ვლადიმირ — დაიპყარი მსოფლიო, ვლადივასტოკ — დაიპყარი აღმოსავლეთი. მპყრობელობითი უნარი თავად რუსი ხალხის ბუნებაშია. თავად, პუტინის სახელს დააკვირდით: ვლადიმირ (დაიპყარი მსოფლიო) ვლადიმიროვიჩ პუტინ. ამ ყველაფერს აწონვა, გააზრება სჭირდება. ვიმეორებ, კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთს ებრძვიან. შევხედოთ, რისთვის მიმდინარეობს ბრძოლა: თუ 100 წლის წინ, ეს კაპიტალის გატანისთვის კეთდებოდა, ახლა, ენერგომატარებლებისთვის ხდება. დღეს, კაპიტალიზმმა მოდერნიზება განიცადა. ნახეთ, როგორი სიტუაცია შეიქმნა მსოფლიო ნავთობის ბაზარზე, რა ფასებია, როგორ იყო დასავლეთთან საუდის არაბეთი და დღეს რა სიტუაციაშია. კაპიტალიზმისთვის განვითარება დაპირისპირებებისა და ბრძოლების გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია. როცა კაპიტალისტური ცხოვრების წესზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრძოლები მიდის ღირებულებებს შორის. წინა პლანზე არასაკაცობრიო ღირებულებებმა წამოიწია — ლიბერალიზმი ლიბერასტიზმში გადაიზარდა, რასაც კაცობრიობა ვერ აიტანს. ფაქტობრივად, საქართველო ირგვლივ ომების ალშია. ხომ ვხედავთ, რა ხდება უკრაინაში, ასევე, დაპირისპირებაა თურქეთსა და საბერძნეთს შორის, რა ღირებულებებისთვის მიმდინარეობს ბრძოლა ირანში და ა.შ. ამ დაძაბულ სიტუაციაში ჩვენ საკუთარ თავს უნდა მოვუაროთ, გადავრჩეთ ფიზიკურად და გადავარჩინოთ ქართული სახელმწიფოებრიობა. ეს არის ჩვენი ვალი წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.



**— ბატონო ედიშერ, თუ დარტყმა შავ ზღვაზე განხორციელდა, რა საფრთხე ემუქრება საქართველოს?**

— საფრთხე ყოველთვის არსებობს. იმედია, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირება არ დაიწყება, თორემ წარმოუდგენელია რაღაცები მოხდება. მგონია, რომ შავ ზღვაზე დარტყმა არ მოხდება, ვინაიდან აქ არის ნატოს წევრი ორი დაპირისპირებული სახელმწიფო — საბერძნეთი და თურქეთი. არავინ იცის, რა პროცესები განვითარდება. ამ შემთხვევაში არც დასავლეთს და არც რუსეთს დაპირისპირება არ უნდა აწყობდეთ. ზემოთ ვახსენე, ომი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს-მეთქი. ამის უდავო დამადასტურებელი ფაქტორია ნატოს გენერალური მდივნის განცხადება: ამ ომში უკრაინის დამარცხება, ნატოს დამარცხება იქნებაო. იმედია, ყველა მექანიზმი ჩაერთვება და სამშვიდობო კომპლექსი ამუშავდება. ყურადღება მივაქციოთ ერდოღანისა და პუტინის შეხვედრას. ჩვენი მეზობლები დამეგობრებულნი არიან და ბევრი საკითხი, ალბათ, მათი მოლაპარაკებებით გადაწყდება. ერდოღანი პუტინის წინაშე დასავლეთის მოსაზრებებს აჟღერებს. პუტინმაც არაერთხელ განაცხა-

და, რომ მოლაპარაკებების მომხრეა. ეს შემთხვევით არ ხდება. ზელენსკი მოლაპარაკებებზე უარს ამბობს, თუმცა ამას საკუთარი ნებით არ აკეთებს. საქმე ისაა, რომ ომის დაწყებამდე უკრაინას ორი ოლქი ჰქონდა დაკარგული, ახლა კიდევ ორი მიემატა. ძნელია უცებ მოლაპარაკება. თუმცა, იმედი მაქვს, გაივლის რაღაც პერიოდი და მშვიდობა გაიმარჯვებს.

**— მუდმივად გვესმის: უკრაინა იმარჯვებს, რუსეთი მარცხდება. წეღან ახსენეთ: საქართველო გარშემო ცეცხლის ალშიაო. რა გველის, თუ პუტინი დამარცხდება?**

— დიდი ქართველი გენიოსის ნიკო ნიკოლაძის სიტყვებს გავიხსენებ: საქართველო მზესუმზირას ჰგავს — მზე საიდანაც ამოდის, თავს იქეთ მიაბრუნებსო. ჩვენ ამ და ნებისმიერ სიტუაციაში ბალანსირების პოლიტიკა უნდა გავატაროთ. ჩვენ მკვეთრად გამოკვეთილი დასავლური ღირებულებები გვაქვს. არ მგონია, საქართველომ ამ გზიდან გადაუხვიოს. ოღონდ, ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ ქვეყნის ინტერესები არ დავაზიანოთ. რუსეთის გამარჯვება, რა თქმა უნდა, ჩვენს მიმართ უფრო მეტად გააძლიერებს იმ „ველიკორუსულ" იმპერიალისტურ ზრახვებს, რაც მას საქართველოსა და კავკასიის მიმართ გააჩნია, უფრო მეტი აგრესია წამოვა. მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს. სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი — ვიღაც პოდოლიაკები, გონჩარენკოები, არახამიები არიან. ისინი, სინამდვილეში, პოლიტიკური ავანტიურისტები გახლავან. ხანდახან შთაბეჭდილება მექმნება, რომ უკრაინის ხელისუფლებას ვერ გაუთავისებია, რუსეთი ებრძვის, თუ საქართველო, ისეთ განცხადებებს აკეთებენ ჩვენს მიმართ. ეს მათი აზრი არაა — პოდოლიაკები და სხვები, ხელის ბიჭები, პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე პაიკები არიან, რომელთაც ვიღაცები უბრძანებენ და ისინიც ლაპარაკობენ. ჩვენ ახლა ბეწვის ხიდზე გავდივართ. ვერავინ იტყვის: მომავალში რა მოხდება. ეს დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: როგორ განვითარდება აშშ-ში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ანუ რა ძალები მოვლენ ამერიკის ხელისუფლებაში. დიდი იმედი მაქვს, აშშ-ის შუალედურ არჩევნებში „რესპუბლიკელები" გაიმარჯვებენ და ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკას ძირეულად შეცვლიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთულესი პროცესები განვითარდება.

**— რას ფიქრობთ, ნაცების მოწოდებაზე საზღვრის დაკეტვასთან დაკავშირებით?**

— ნაცები პროვოკატორები, ქვეყნის მოღალატეები არიან, რომელთაც ერთი მიზანი და დავალება აქვთ მიღებული — რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ნებისმიერი ხერხით, ქვეყანაში არეულობა მოახდინონ, ხელისუფლებაში მოვიდნენ და სამშობლო მიმდინარე სისხლიან ომში ჩააბან. ეს არის მათი ამოცანა. გავიხსენოთ, რას ამბობს „ნაცმოძრაობის" რუპორი ნინო ლომჯარია: ასეთ მშვიდობას, მირჩევნია, თავზე ბომბები მცვიოდესო. ნაცების „შაიკის" კიდევ ერთი წარმომადგენელი ჭიჭიკო ვაშაძე ამბობს: საქართველოს რუსეთის



ხელისუფლებამ სილა გააწნაო. მერე გამოდის კაცი, რომელმაც მთელი საქართველო „მილიონერი" გახადა და ისიც ნიშნის მოგებით გველაპარაკება. ნაცებს აკანკალებთ, ისე უნდათ საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლა. გეტყვით კიდევ ერთ ფაქტს: შარვალჩახდილი გირჩი-ზურაბა რომ არის, მან თქვა: რა კარგი იქნება, აქ 10 ათასი რუსი ჯარისკაცი რომ შემოვიდესო. ალბათ, თვითონ მტერს შარვალჩახდილი დახვდება. აი, ამ ხალხს სურს ნებისმიერ ფასად პროვოკაციის მოწყობა. ხომ ხედავთ, რა ამბავი ატეხეს დაღუპული ბავშვის საკუთარი ინტერესებისთვის გამოსაყენებლად. ნაცების ტელევიზიით გამოდის რომელიღაც არასამთავრობოს წარმომადგენელი და ამბობს: როდის დადგება ის დრო, ქუჩაში მოლოტოვის კოქტეილებით გავიდე, ცეცხლი გავაჩინო და ვიტრინები ჩავლეწოო. პროვოკაციებზე ღიად მიდიან. ქართველი კაცი გრძნობს: ვინ ვინ არის. ამიტომაც დაეთრევიან ნაცები პარლამენტის წინ პირშიჩალაგამოვლებულები. დააკვირდით, რა წარწერები გააკრეს ქალაქში საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. თუ ასეთი ვაჟკაცები იყვნენ, თხებივით დამწკრივებულები რატომ ასწრებდნენ ერთმანეთს წითელ ხიდზე?! მათი პრეზიდენტი კი ომიდან გამორბოდა და ცხვირით მიწას ხნავდა. ამ ძალისგან დესტრუქციული ქმედებები ყოველ წუთს მოსალოდნელია. რაც შეეხება რუსებს, ისინი ტურისტებად შემოდიან. საბედნიეროდ, მიმდინარე პროცესებს ვაკონტროლებთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლება არაქართულს არაფერს გააკეთებს.

**— ბატონო ედიშერ, რამდენიმე დღის წინ ევროსაბჭოს გენერალურმა საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ჩაწერა, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია. ეს რას ნიშნავს?**

— დიახ, ვინც პუტინს ებრძოდა, ყველა პოლიტპატიმარიაო. ამის შემდეგ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ იგივე დასავლეთს, სადაც ადამიანების გარკვეული ნაწილი პირდაპირ ლობისტები, ფულით მოსყიდულნი და პოლიტიკური შარლატანები არიან. წესდების მიხედვით, საპარლამენტო ასამბლეაში 600 პარლამენტარია. აქედან რეზოლუციის მიღებას მხოლოდ 50 მათგანი ესწრებოდა. ათი წევრიც რომ ესწრებოდეს, რეზოლუციის მიღება შეუძლიათ. ასეთი მზაკვრობა ჩაიდინეს წინა რეზოლუციის მიღებისასაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პატარა ქვეყანას, რომელიც დიდ სახელმწიფოებს წინ აღუდგა და ომში არ ჩაერთო, ამისთვის გვსჯიან. ესენი იმ დონემდე მივლენ, შეიძლება ხალხი ქუჩაში გამოიყვანონ. ალბათ, ამისთვის ვიზა-ლიბერალიზაციის გაუქმებაზეც წავლენ. დიდი ეჭვი მაქვს, ასე მოხდება. პროცესები ისე მიდის, ჩვენს მიმართ პოლიტიკას ისე აწარმოებენ, რომ აშკარაა, მათ საქართველოში ხელისუფლების შეცვლა სურთ. ჭიჭიკო ვაშაძემ განაცხადა: თეთრ სახლში ვიყავი და აშშ თანახმაა, საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოსო. გამაგებინეთ, რომელ კონსტიტუციაში წერია, რომ ამერიკას შეუძლია საქართველოში ხელისუფლება შეცვალოს?! ჭიჭიკოსნაირებს ეს შეუძლიათ, თუ გარედან მხარდამჭერები ეყოლებათ. რატომ უსმენენ დასავლეთში ისეთ პოლიტიკოსებს, როგორებიც ხაბეიშვილები, დეკანოიძეები არიან, ჩემთვის გაუგებარია. ნაცებს ხომ სურთ, რომ საქართველო ისტორიის სარბიელიდან გაქრეს. ამის მერე კიდევ მოითხოვენ: თქვენთან პოლარიზაცია უნდა დასრულდესო. ყველამ ხომ ვიცით, ვინ არის სააკაშვილი — კაცის მკვლელი, რუსებისთვის საქართველოს მიწების 22%-ის ჩამბარებელი, სახელმწიფო დამნაშავე. იგი იძებნებოდა, სამი ბრალდება აქვს წაყენებული, რაც სამართლიანმა სასამართლომ მიუსაჯა და ეს სტასბურგმაც აღიარა. ახლა ვიღაც 55 ევროპელი მეუბნება: სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარიაო. ეს ყოვლად ამაზრზენია! გამაგებინეთ, სად არის სამართალი, ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# სტრატეგიული პარტნიორები საქართველოს განადგურებას მოითხოვენ

5 გვ.

უკრაინა და მოლდოვა, ჩვენთან შედარებით, დემოკრატიის კუთხით 10-20 საფეხურით ქვემოთ არიან, მაგრამ წინაპირობები არ წაუყენებიათ. რატომ ჩაგვაყენეს არათანაბარ პირობებში, რატომ მოხდა დისკრიმინაცია? — იმიტომ, რომ ჩვენ ომი არ გამოვაცხადეთ. ხალხს, სამწუხაროდ, რეალური ინფორმაცია არ აქვს. ერთ-ერთი პუნქტი დეოლიგარქიზაციაა, რაც დესულელიზაცია უფროა. რით უნდა დაამტკიცონ, რომ ამა თუ იმ პიროვნებას საზოგადოებაზე გავლენა აქვს?! რა უნდა ჩადონ საქმეში მტკიცებულებად? კანონით ხომ მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის დანაშაულს! თავისთავად, ეს, უბრალოდ, იმისთვისაა მოგონილი, რომ ნებისმიერ დროს გითხრან — კი ან — არა. ამას გეტყვიან არა იმის მიხედვით, როგორ შეასრულე 12-პუნქტიანი დავალება, არამედ კულუარებში რა დავალებაც არის მოცემული, ის როგორ შეასრულე — მეორე ფრონტის გახსნა და სანქციები. აი, ეს არის სიმართლე.

**— ქალბატონო ნანა, ორიოდ სიტყვა თინა ხიდაშელის განცხადებაზეც გვითხარით. მან აღნიშნა, რომ საიას თავმჯდომარეობის დროს უფლებაშელახულ ადამიანებს იცავდა. როგორია რეალობა?**

— რაც დაწერა ყველაფერი ტყუილია. ხიდაშელი, ალბათ, მათ ატყუებს, ვინც არასამთავრობო ორგანიზაციების ისტორია არ იცის და არც მისი როლი ქართულ საზოგადოებაში. ამბობს: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 1994 წელს შევქმენიო. მაშინ თავმჯდომარე უსუფაშვილი იყო და არა თვითონ. ათიათასობით უფლებაშელახულ ადამიანს ვემსახურებოდით, ციხეში პატიმრების წამების ფაქტებზე 24-საათიან სატელეფონო რეჟიმში ვმუშაობდითო. ესეც ტყუილია. ასევე, მხედრიონის და კომუნისტების ნარჩენებისგან ხალხს ვათავისუფლებდითო. ისევ სიცრუეა. ისიც კი არ იცის, რომ 1994 წელს მხედრიონი უკვე დაპატიმრებული იყო. შევარდნაძემ მაშინ სპეციალურად გახსნა მეშვიდე საპყრობილე, სადაც მხედრიონელები ჰყავდათ და აწამებდნენ. ხიდაშელს თვალით არცერთი უნახავს. მისი საქმიანობა გრანტების წერა და ფულების აღება იყო. დაასახელოს, რომელი უფლებაშელახული უნახავს!!! ის ადამიანები, ვისაც აწამებდნენ, ცოცხლები არიან. მეტიც, ხიდაშელი არცერთ სასამართლო პროცესზე არ ყოფილა, სადაც ნაწამები ადამიანები ღიად საუბრობდნენ. საუკუნის პროცესზე, შევარდნაძის წინააღმდეგ მომხდარ ტერაქტზე, იოსელიანს ასამართლებდნენ, მაშინ სასამართლოში ხიდაშელის წარმომადგენელიც კი არ ყოფილა მოსული. ჩვენი ორგანიზაცია ერთადერთი იყო, რომლის თანამშრომლები მეშვიდე საპყრობილეში შედიოდნენ, როგორც საზოგადოებრივი დამცველები. ხიდაშელი იქ როგორ შევიდოდა, როცა ამის უფლება ჩვენს გარდა არავის ჰქონდა. ჩვენ გამოვიტანეთ წამების ფაქტები, პატიმრები ღიად ვალაპარაკეთ, ვაჩვენეთ გაზით დამძვრალი კბილები, დაჩეხილი ადამიანები. ეს რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ დაინახა, სწორედ ხიდაშელის რეკომენდაციით, საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი კანონმდებლობიდან ამოიღეს და ამის შემდეგ ციხეში შესვლის უფლება ჩვენც აღარ გვქონდა. სააკაშვილი ოპოზიციაში რომ გადავიდა და შევარდნაძის მინისტრი გახდა, ციხეებში მონიტორინგის ჯგუფის შექმნა მოვახერხეთ. მანამდე ციხეში არავინ გვიშვებდა. ხიდაშელი, ასევე, ამბობს: ხელისუფლებას ოპოზიციაში ვედექითო. საინტერესოა, რომელ ხელისუფლებას გულისხმობს?! არ არსებულა ხელისუფლება, სადაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეებს მაღალი თანამდებობა არ ჰქონოდათ. 1994 წელს, ორგანიზაციის შექმნის დღიდან, უსუფაშვილი მისი თავმჯდომარე და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მთავარი იურისტი იყო. შემდეგ ყველა თავმჯდომარე: თინა ხიდაშელი, ნინო გვენეტაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, გია გეწაძე, ანი დოლიძე, ანი ნაცვლიშვილი, თამუნა ხიდეშელი და ა.შ. სხვადასხვა ხელისუფლებებში მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ახლა აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებას ებრძოდნენ. მაშინ, გამოდის, რომ ისინი დასავლეთს ხელისუფლებაში როგორც აგენტები, ისე ჰყოლია ჩასმული.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ყირიმზე გახსენებული საქართველო




რუკა N1

მსოფლიო ხედავს, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებს უკრაინელი ხალხის თავზე, მაგრამ ხედავს და ხედავს, უყურებს და ვისაც არ ენაღვლება, ხელსაც გვარიანად ითბობს...

ცივი გონებით მივყვეთ ისტორიას და სადაც სხვისას ვნაღვლობთ, იქ ჩვენიცა ვთქვათ!

უახლესი მოცემულობით ასე იკითხება: უკრაინის ტერიტორია ყირიმი, ანექსირებულია რუსეთის მიერ 2014 წლის 18 მარტს. რა თქმა უნდა, იმ მომზირალი მსოფლიოს მრავალმა ლიდერმა დაგმო მაშინ რუსეთის ეს ნაბიჯი და, როგორც სჩვევიათ, ძალიან შეშფოთდნენ და აღშფოთდნენ.

სხვათა შორის, მაშინ სასწრაფოდ წამოჰყო თავი თურქეთმა, დიდი ვერ გაბედა, მაგრამ პატარა პრეტენზიისმაგვარი მაინც დააფიქსირა, ყირიმი სულაც ჩვენიაო. თურქეთსაც რომ კარგი მადა აქვს რუსეთივით, ძველი ამბავია, მაგრამ აბა, ვნახოთ, რატომ არის მისი, 1443 წელს დაპყრობილ ტერიტორიას ყირიმის სახანო რომ დაარქვეს?

ყირიმში ადამიანის ცხოვრების უძველესი კვალი პალეოლითის ეპოქას განეკუთვნება. ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის II ნახევარში ყირიმი რომაელებმა დაიპყრეს, ახალი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებში სხვადასხვა მომთაბარე ტომებმა, ხოლო IV-V საუკუნეებში ბიზანტიის ექსპანსიის ობიექტი გახდა. X საუკუნეში ყირიმის აღმოსავლეთი ნაწილი ტმუტარაკანის სამთავროს შემადგენლობაში მოექცა. XIII საუკუნეში თათარ-მონღოლები შეიჭრნენ და იქ ოქროს ურდოს ყირიმის ულუსი შექმნეს. „ოქროს ურდოს“ დაშლის შემდეგ კი, 1443 წელს, წარმოიქმნა ყირიმის სახანო. 1783 წელს ყირიმი რუსეთის ხელში გადავიდა და 1784 წელს ტავრიდის ოლქის შემადგენლობაში შევიდა (1787 წელს გუბერნია) ცენტრი — ქალაქი სიმფეროპოლი.

ასე თუ მიდგა საქმე, მაშ, ჩვენ რაღა ვთქვათ?

1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა (სად დაიკარგებოდა, ისევ იქნება), რომელსაც, დაწყებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი (ეგვიპტე) სუდანი (კოლხ-ქალდების იმპერია), პირენეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე „მენგრელია“ ეწერა. თუაფსემდე, მდინარე რამდე (ვოლგა), ყაზანი, რიაზანი — მეგრული სახელებია; აზოვის ზღვა (ზღვა „ლაზოვსკოე“ — ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი, ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო. ეს ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და, შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. ჰეროდოტე (ძვ.წ. VI ს.) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები აღნიშნულ სივრცეში კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ან სხვა ხალხები ამ ტერიტორიაზე არ არსებობდნენ.

სხვათა შორის კი არა, ხომ ვიცით, რომ აიეტი — კოლხეთის მეფეა? ჰოდა, პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში! ტავრიელების მეფე რომ კოლხია, რიტორიკულად ვიკითხოთ, რას ნიშნავს და შემდეგ, ათასწლეულების გადმოღმაც რომ იმავე ადგილს ტავრიდის ოლქი ერქვა და შემონახული ჰქონდა სახელი, რუსეთამდე და თურქეთამდე ვისი უფრო ყოფილა? ვიოცნებოთ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს...

გავაგრძელოთ!

როდესაც რუსეთმა თურქეთს ყირიმის სახანო წაართვა, 1783 წლის 19 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთის იმპერიისთვის ყირიმის მიერთების შესახებ. შემდეგ წელს ყირიმს უკვე ტავრიდის ოლქი ერქვა. 1921 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა რსფსრ-ის ყირიმის ავტონომიური სსრ. II მსოფლიო ომისა და ყველა ადგილობრივი ყირიმელი თათრის დეპორტაციის შემდეგ, 1946 წელს ყირიმმა დაკარგა ავტონომია და რუსეთის სფსრ-ის ოლქი გახდა. 1954 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დეკრეტით ყირიმის ოლქი უკრაინის სსრ-ს შუერთეს. 1989 წელს, „პერესტროიკის“ მიმდინარეობისას, უმაღლესმა საბჭომ სტალინის მმართველობის პერიოდში ყირიმელი თათრების დეპორტაცია უკანონოდ გამოცხადდა და მუსლიმანური ეთნიკური ჯგუფის უდიდეს ნაწილს ყირიმში დაბრუნების ნება დართო.

როგორც კი ყირიმის ავტონომიური ოლქის დამოუკიდებლობაზე დაიწყო საუბარი, თურქეთმა მყისვე თავი გამოყო 230 წლის წინათ დაკარგულ ტერიტორიაზე, ავტომატურად ჩემი გახდებაო და ჩვენ, ქართველებს, ერთი გოჯის ინტერესიც აღარ გვაქვს?

საკმარისია საქართველოს დღევანდელ რუკას დახედო და თუ ქართველი ხარ, გული გეტკინება... (რუკა №1)

„ნატოსკენ“ სწრაფვამ, როდესაც კარი ღიაა, მაგრამ, სინამდვილეში, მუდმივად დახურულია, როდემდე უნდა გვამყოფოს იმ მდგომარეობაში, სახედარს სტაფილოს რომ დაუკიდებენ ცხვირწინ, სტაფილოს ნდომით ტვინარეული ვირი ხომ ხევშიც წარმატებით გადაიჩეხება...

საინტერესოა, ნატო-სა და ევროინტეგრაციაში „მიმავალი“ ქართველი პატრიოტები საქართველოს ამ დარჩენილი ტერიტორიით რომ აპირებენ შესვლას და დანარჩენ ქართველებსაც მიგვათრევენ, იმას თუ საზღვრავენ, რომ ამ სახით აკანონებენ საქართველოს მსოფლიო რუკაზე და დაკარგული ტერიტორიების სრული ან ნაწილობრივ მაინც დაბრუნების ყველანაირ პერსპექტივას უკარგავენ?

„ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველოო“ ამას მხოლოდ მღერა კი არა, გააზრება უნდა. დიახ, დიდი იყო (რუკა №2 და რუკა №3 დავით აღმაშენებლისდროინდელი რუკა, სადაც ყვითელი ფერი ქართველების განსახლების არეალია, სხვა ფერი კი ყმადნაფიცების) და საუკუნეების გადასახედიდან არავის აქვს იმის ილუზია (მონდომებაზე აღარაა საუბარი), რომ ოდესაღაც ისევ იმხელა გახდება, მაგრამ, რაც აგერ ახლახან აგაცალეს ცხვირწინ, ძალა თუ არ გაქვს, ყველა ხერხით მაინც არ უნდა ებღაუჭებოდე?

უცნაური პოლიტიკაა (თუ ამას პოლიტიკა ჰქვია), ქართველი ფიზიკურად იბრძვის ყველგან და ყველას გამო მსოფლიოს ყველა ცხელ წერტილში, მაგრამ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ინტერესების დასაცავად, არაფერს აკეთებს. სამხრეთ აფრიკაში, მალიში საფრანგეთის ინტერესებს იცავს, მოლაპარაკებაზე მოსკოვში არ მიდის; ავღანეთში აშშ-ის ინტერესების დამცველია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად არსად მიდის; საქართველოს ყველა ხელისუფლება აღშფოთებას გამოთქვამს მსოფლიოს რომელიღაც ქვეყნის რომელიღაც ოლქებზე, მხარეებსა თუ კუთხეებზე, ფეთქებადსაშიში სამცხე-ჯავახეთის შესახებ ხმას არ იღებს...

„2008 წელს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ომისას ჩვენ კარგი შესაძლებლობა გვქონდა, სამცხე-ჯავახეთში ჩვენი ჯარი შეგვეყვანა, მაშინ საქართველო სომხური ჯარის გასაყვანად უფრო მეტ დათმობაზე წამოვიდოდა ჩვენთან, მათ შორის ამ რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით ჩვენ შეგვეძლო მიგვეღწია იმისთვის, რომ ყველა ადგილობრივ ორგანოში მმართველი სომეხი ყოფილიყო,“ — აცხადებდა ვარდან სედრაკიანი (სომხეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი) სააგენტო „რეგნუმთან“ და იმედოვნებდა, რომ მსგავსი შესაძლებლობა კიდევ მიეცემათ — საქართველოს მხარე კი დუმდა. დუმდა „ის“ და და დუმს „ესეც“, რადგან, როგორც ჩანს, არც გაუგიათ, რომ ლორე-ტაშირი უკვე მიტაცებული აქვს სომხეთს...

1918 წლის დეკემბრის დასაწყისში სომხეთის ხელისუფლებამ რომ ომის გამოუცხადებლად ჯარი შემოუსია საქართველოს ქვემო ქართლიდანაც და ჯავახეთიდანაც, არ იყო ძნელი საქართველოსთვის იმ დროს გაჭირვებულ სომხეთთან ომი, გავრცელებული გადამდები სნეულების გამო ერევნის ქუჩებში დაუმარხავი მკვდრები ეყარა, — მკვდრებს ვერ მარხავდნენ და ჩვენ ჯარი შემოგვისიეს, მაგრამ საქმე ის იყო, რომ იცოდნენ,




რუკა N2




ჟორდანიას მთავრობა მზად არ იყო ომისთვის; მეორე — ეს ის დროა, როცა I მსოფლიო ომი ასე თუ ისე მომთავრებულია და ამიერკავკასიაში უკვე მოემართება ინგლისი, რომელიც მხარს უჭერს სომხეთის მთავრობას საქართველოს წინააღმდეგ ომში. ეროვნულმა ძალებმა იმარჯვეს, გვერდი აუქციეს მთავრობას, თვითონ დარაზმეს ხალხი სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, დააზევინეს სომხებს უკან და პირიქით, ერევანზე მიდიოდნენ უკვე, მაგრამ ინგლისი და მისი მოკავშირეები (კერძოდ, საფრანგეთი) ჩაერივნენ საქმეში და ომის სასწრაფოდ შეწყვეტა მოითხოვა ჟორდანიამ.

ეს მოხდა 1918 წლის 31 დეკემბერს. ძირითადი ბრძოლები მიმდინარეობდა ლორე-ტაშირის ტერიტორიაზე და ინგლისის მითხოვნით, ეს ძირძველი ქართული მიწა-წყალი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. ინგლისის მთავრობის ამ ნაბიჯით და ჟორდანიას მთავრობის თანხმობით 1921 წელს რუსეთს შემზადებული დახვდა ნიადაგი და დღეს ლორე-ტაშირი ჩამოშორებულია საქართველოს ისევე, როგორც საინგილო გადასცეს აზერბაიჯანს (სასაზღვრო რაიონებში გოჯა-გოჯა საზღვრის გადმოცოცება ცალკე საკითხია) — ასე რთული და გაუგებარია ისტორიული ექსკურსები? ეს მიწები ისტორიული ქართული პროვინციის, გუგარეთის სამხრეთი ნაწილი, ქართლის მოწინავე სადროშო იყო. ლორეს ციხე იყო საქართველოს ამირსპასალარის რეზიდენცია. აქ არის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები: ახტალისა და ქობულის მონასტრები, აქორის გუმბათოვანი ტაძარი და დღემდე „ვრაცების“ (ქართველების) ველს უწოდებენ თვით სომხები...

რაც შეეხება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობას — დღეს, შეიძლება, ღიად არ ჩანს, მაგრამ ფარულად აზერბაიჯანსაც პრეტენზიები აქვს საქართველოსთან. თუმცა, რაღა ფარულად, გავიხსენოთ ფაქტი, როდესაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა იყო (ვგულისხმობ ზვიად გამსახურდიას პერიოდს), ქვემო ქართლის თათრებმა (შაჰ აბასის მოყვანილი და დარჩენილი მოსახლეობა) წამოაყენეს იდეა, რაც ე.წ თათრული აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნას გულისხმობდა ქვემო ქართლში, ცენტრი უნდა ყოფილიყო რუსთავი (მარნეულს აღარ დასჯერდნენ).

ოდნავ წარსულში, როცა დამოუკიდებელი იყო საქართველოც, სომხეთიც და აზერბაიჯანიც — მაშინაც პრეტენზიები განაცხადა აზერბაიჯანმა, კერძოდ, აჭარა უნდა მოქცეულიყო აზერბაიჯანის გავლენის ქვეშ, ვინაიდან, აჭარლები მაჰმადიანები არიანო...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აზერბაიჯანის ხელისუფლება პრეტენზიას აღარ აცხადებს დავით გარეჯის კომპლექსის ერთ ნაწილზე? დღეს აღარ გვაწვდიან ინფორმაციას, კიდევ რა პრეტენზიები აქვთ, რა უნდათ, მაგრამ ფაქტია სამწუხარო — ამ აზერბაიჯანელების წინაპრები ჩვენ ქართველ დავითგარეჯელ ბერებს ათასობით ხოცავდნენ, ახლა იმავე ძეგლზე პრეტენზია აქვთ, ჩვენიაო...

როცა ვლაპარაკობთ აზერბაიჯანის პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ, აზერბაიჯანული წრეები იშველიებენ ალბანეთის ფაქტორს. კერძოდ, ჩვენ ვართ ალბანელების შთამომავლებიო. კი, ისინი იყვნენ ქრისტიანები, ჩვენ ვართ მუსლიმანები, მაგრამ ჩვენ ძარღვებში ალბანური სისხლიაო. ჩვენს წინაპრებს ეკუთვნოდათ ტერიტორია, რომლებიც მოექცა საქართველოში, საინგილო-ჰერეთიო. ამას დღეს არ ამბობს აზერბაიჯანის ხელისუფლება ღიად, მაგრამ ამაზე საუბრობენ აზერბაიჯანის სამეცნიერო წრეები...

სახელწოდება „აზერბაიჯანი“ არ არსებობდა, 1917 წლამდე იყო შაჰის სახანო. 1921 წელს, როდესაც საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია და საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, უკვე 5 ივლისს აზერბაიჯანს გადაეცა ზაქათალის ოლქი (ისტორიული საინგილო) და საქართველოს გეოგრაფიული ერთეული აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა. სადღაა ჰერეთი — დღეს ჰერეთის ტერიტორია მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებს...

მოეჭრა საქართველოს ლორე-ტაშირი, ბორჩალო, საინგილო-ჰერეთი, ენისელი (ელისენი)...

კვლავ დავხედოთ რუკას (რუკა №1). უძველესი დროიდან საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ნიკოფსიამდე იყო, გეოგრაფიულ პუნქტამდე, რომელიც ტუაფსეს რაიონშია (ლეონტი მროველსა და გიორგი მთაწმინდელთან ამოიკითხავთ). დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ პერიოდში (1918-1919 წ.წ.) საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა სოხუმისა და სოჭის ოლქები, ანუ იმხანად საქართველოს საზღვრები რეალურად ისტორიულ ნიკოფსიამდე აღწევდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციისადმი წარდგენილ მოხსენებაში საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი სწორედ ტუაფსეს სექტორშია ნაჩვენები. საბოლოოდ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა ორ ქვეყანას შორის არსებული სასაზღვრო ზოლი, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: „სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გაივლის შავი ზღვიდან მდ. ფსოუმდე, ახახჩას მთამდე, ახახჩას მთა და მთა აგაპეტით და ჩრდილოეთის საზღვრებით ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისისა და ტფილისის ყოფილი გუბერნიების ზაქათალის ოლქამდე და ამ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით სომხეთის საზღვრამდე“.

ამრიგად, საქართველომ „უარი თქვა“ სოჭის ოლქზე, მაგრამ, სანაცვლოდ, საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში სამუდამოდ მოექცა სოხუმის ოლქი, ანუ აფხაზეთი.

მიუხედავად საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის ამგვარი გარიგებისა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოსკოვმა მაინც ჩამოაჭრა საქართველოს მცირე ტერიტორიები. რუსეთს გადაეცა აფხაზეთის ნაწილი: 1925 წელს პილენკოვო (განთიადი), 1927 წელს მელხესტი და ცეკარო. 1929 წელს განთიადი (პილენკოვო) და ლესელიძე (ერმოლოვკა) კვლავ დაუბრუნდა საქართველოს, მელხესტი და ცეკარო კი სამუდამოდ დაიკარგა.

რაც შეეხება თურქეთს, ისტორიულ მტერსა და ახლადგაჩენილ ამ „მეგობარს“ საქართველოსგან იმდენი აქვს მიტაცებული, თუ მეტი არა, არაფრით ჩამოუვარდება რუსეთს, ერთი რომ დაუთმეს ქართველებმა ტრაპიზონის იმპერია და მოიშალა ბუნებრივი საზღვარი, დაიშალა კიდეც საქართველო, ყმადნაფიცი იყო თუ მეზობელი, ყველა ერთად მოგვესია...

1555 წელს ირანმა და ოსმალეთმა ამისიის ზავით საქართველო გაიყვეს, მაგრამ თურქეთმა იხეირა ისე, რომ მიუხედავად დაფარვისა, მადას ვეღარ იოკებს დღემდე...

დახედეთ საქართველოს გეოგრაფიულ რუკას (რუკა N4), სახეზეა თურქეთის მიტაცებული: ჭანეთი, შავშეთი, კოლა, ლაზეთი, არტაანი, ტაო, კლარჯეთი, სპერი და ბასიანი...

მათგან კლარჯეთი XX საუკუნის დასაწყისში (1918-1921 წ.წ.) შემოერთებული ჰქონდა საქართველოს, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსირების შემდეგ, ქვეყანამ უდიდესი ტერიტორიები დაკარგა და მათ შორის კლარჯეთიც (სხვა საკითხია, დღემდე ბევრი იქაური ქართული ენის იმერხეულ კილოზე რომ საუბრობს, ან ფარული ქრისტიანი რომ არის და ქართულ ადათწესებს ინარჩუნებს). ბექა ჯაყელის მიერ თურქთა წინააღმდეგ ლაშრობის შესახებ ჟამთააღმწერელი წერს: „და ვითარ ცან ბექამან მოსვლა თურქთა, მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა ტაშისკარითგან ვიდრე ბასიანამდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კარნიფორელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქუნდა ესე ყოველთა ქუეყანა“...

ნატვრა მაქვს, თამარ მეფის სახელობის გამზირით აღმაშენელის გამზირზე გაივლიდეს თამარ მეფე, ბექა ჯაყელი და თვით დავით აღმაშენებელი...

რაც შეეხება სამაჩაბლოს ტერიტორიასა და ოსებს — იმდენად ხელშესახებია მათი მოსვლის ფაქტი (XVIII საუკუნის შუახანები), რომ ქართველი მეცნიერები შესასწავლს ვერაფერს ხედავდნენ. ოსთა წინაპრები, ალანები, დასავლეთით, თანამედროვე ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიაზე ჰუნების თარეშიდან გამომდინარე იყვნენ შემოსახლებულებულები და ემეზობლებოდნენ საქართველოს ისტრიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს, აფხაზეთსა და სვანეთს. 1922 წლის აპრილში მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით, ოსებს „ეჩუქათ“ საქართველოს მიწების ნაწილი სტატუსით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და ტომის სახით, რომელსაც არანაირი ცნობა არ ჰქონდა, არც გეოგრაფიული და არც პოლიტიკური ერთეულისა, საქართველოს გაუჩნდა გერი...

2008 წელს რა და როგორ მოხდა, ცნობილია და რაღაზე შეიძლება ისაუბრო ისედაც გულდამძიმებულმა, დაკარგულ ისტორიულ მხარეებზე, ვთქვთ, სამურზაყანოზე (დღევანდელი გალის ტერიტორია), ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონზე, ვთქვათ, წებელდაზე (დღევანდელი გულრიფშის რაიონი) და ა.შ. რაზე?!

დღეს, უცნაურად გაპატრიოტებული ქართველები ასევე უცნაურად „დიდი მეგობრების“ წაქეზებით ვიღაცების ომში სასიკვდილოდ ამუნათებენ საქართველოს...

ჩემმა მზემ, ისე ნუ იზამთ, ერთხელაც, რომელიღაც სისხამ დილას საქართველოს ის ნარჩენიც აღარ დაგვხვდეს, რასაც დღევანდელ საქართველოს ამოჭმულ რუკაზე ვხედავთ...

ოდესაღაც დიდი ყოფილა საქართველოო... მხოლოდ ერთი სიტყვის „დიდი“ ამოღებაღა დარჩა...

**ზურაბ ომხერელი**



# არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლება ნატო-სა და ევროკავშირის „სიტუაციური მძევალია“

ზუსტი თარიღი არა, მაგრამ კარგად მახსოვს, ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა: ამ ეტაპზე, საქართველოს ევროკავშირის წევრობას ვერ შევთავაზებთ, მაგრამ მაქსიმალურ დაახლოებას ვთავაზობთო.

არც ამ ამბის ზუსტი თარიღი მახსოვს — ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა ბერლინში, მესამე აღმოსავლეთ ფორუმზე გამოსვლისას გამოგვიცხადა, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში ევროკავშირში ახალი წევრების მიღება არ მოხდებაო. იქვე დასძინა, რომ ამის მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში, მოლაპარაკებები გაგრძელდება და მასში გაწევრიანების მსურველმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეკონომიკურად მზად იყოსო.

ახლახან, რამდენი ხნით მოგვიხურეს ევროკავშირის კარი, ჩვენ ხომ არ ვიცით და არც თვითონ იციან, მაგრამ შოლცმა დაგვაიმედა, პერსპექტივა გაქვთო...

რა თამაშია წამოწყებული, ახსნის ვინმე?

მაპ-ზე უკეთესი ხომ ვითომ მიიღო საქართველომ; ასპირანტიც ხომ გახდა; დოლ-გარმონით ასოცირების პარაფირების რაღაც ტექსტზეც ხომ მოაწერა ხელი; ახლა სულ მცირე, ათი წელი მაინც ისწავლის ასპირანტურაში, როგორ უნდა გამოქლიავდეს მაქსიმალურად და აი, თუ კარგად გამოპიდარასტდება, გამოშტერდება, გამოშრება და ფიტულად გამოდგება, შემდეგ განიხილება, იმსახურებს თუ არა სახელად ევროკავშირში, მაგრამ რეალურად, რაღაც კავშირში მიღებას. ზუსტადაც, „რაღაც ევროკავშირში“, რომელმაც სახე დაკარგა რუსეთ--უკრაინის ომის დაწყებისთანავე და თავისი გასჭირვებია, ერთმანეთს კაბა-ხალათზე ჩაბღაუჭებითღა აკავებენ, არადა, ამ კავშირის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, დიდი ბრიტანეთი „ბრექსიტით“ გავარდა, არ მაწყობს ასეთი კავშირი, სადაც ხარჯი მეტი მაქვს, ვიდრე სარგებელიო; საკუთარი საზღვრები ჩემს ნებაზე ვეღარ გამიკონტროლებიაო და ა.შ. როგორ მაინტერესებს, ჩვენ რა და რატომ გვექაჩება ამ დასაშლელი კავშირისკენ, რა სარგებელს მოგვიტანს, მაგრამ არავინ გვიხსნის, აყოლილები ვართ ერთმანეთს და „შინ, ევროპისკენ!“ დავიზუთხეთ.



ევროკავშირში გაწევრიანების მოწინააღმდეგეები თურქეთის მაგალითს იშველიებენ, NATO-ს წევრი ქვეყანაა, მაგრამ აი, ათეული წლებია არ იღებენ ევროკავშირშიო. თუმცა არ განმარტავენ, რატომ არ იღებენ. პირველი — NATO სამხედრო ალიანსია და მასში გაწევრიანება ავტომატურად ევროკავშირში გაწევრიანებას არ ნიშნავს; მეორე — NATO მოითხოვს სისხლსა და ხორცს, ევროკავშირი — სულს. თურქეთმა სისხლი და ხორცი გაიღო (იძულებით, მაგრამ მაინც), მაგრამ სული თურქული დარჩა და ამიტომაც კარი ცხვირწინ მაგრად ჩაურაზეს. ჩამოჯდა ევროკართან თურქეთი კრიალოსანით ხელში, უცადა, ახლა ან ახლა გამიღებენო, მაგრამ ათასმეერთედ რომ დააპირა უკვე გაცვეთილი მძივების ათვლა, ერთი თქვენიცო, მოისროლა კრიალოსანი და სხვა მხარეს გაუხვია. ასე რომ, თურქეთი, 2014 წლიდან, მხოლოდ სხვა კონტექსტში შეიძლება განიხილო. უარესიც, ცოტა ხნის წინათ, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა და ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ ხელი მოაწერეს 30-მილიარდდოლარიან სავაჭრო გარიგებას, რომელიც ეროვნულ ვალუტაში გასწორდება შესაბამისი ეკვივალენტით. ეგეც თქვენო, არც დოლარი გვინდა და არც ევროო...

ერთი ქართული ფილმის („ყველაფერი კარგად იქნება“) პერსონაჟისა არ იყოს, „არა“ ინგლისურად „ჰო-ს“ ნიშნავსო, NATO-მ რა მოგვიტანა, ანუ რა წაგვართვა — ვნახეთ; ახლა იმას ველით, ღრმად როდის ჩავწვდებით, რას ითხოვს ჩვენგან ევროინტეგრაცია და მერე ვივიშვიშებთ, ეს რა მოგვიტანაო?

ასე ჩანს, რადგან ევროპისკენ „მიმავლების“ დიდ უმრავლესობას, არ აქვს მნიშვნელობა, წერა-კითხვის მცოდნეა თუ გლობუსზე მიახლოებითაც ვერ შემოხაზავს ევროპას, წარმოდგენა არ აქვს, საით მიდის. მოაწერეს ხელი რაღაც დოკუმენტს და თავიანთ გაგებაში ცალი ფეხი შედგეს ევროპაში, არადა, იმ დოკუმენტში სამასამდე პუნქტი იყო და სამასივე როგორ შეიძლება უსიტყვოდ მისაღები ყოფილიყო, სპეციალურად საქართველოს თარგზე ხომ არ გამოჭრეს? როგორ ჩავთვალოთ, ის მაინც ხომ გაიგეს, რომ 300-იდან 17 პუნქტად მხოლოდ სექსუალური უმცირესობების უფლებები იყო განსაზღვრული და აღტკინებულები უსიტყვოდ დაეთანხმნენ, რას ნიშნავდა, ოღონდ თქვენს გვერდით ვიყოთ და ჯანდაბას ჩვენი თავიც და ტრ... იცო? სრულებით არ გვენაღვლება, სამცხე-ჯავახეთისთვის რა სტატუსის მინიჭებაზეა საუბარიო?

მხოლოდ ის კითხვა გავიმეოროთ, რაც წყალჩავლილ NATO-ში შესვლასთან დაკავშირებით გვაინტერესებდა: ევროკავშირში როგორ გვიღებენ, ნაწილებად დაშლილს? ახლა, რაღაც 12 პუნქტი გვაქვს „საშინაო დავალებად“, შემდეგ სხვა პუნქტები გამოჩნდება და ვიქნებით ასე, აბელა სეთურის მრევლივით, ზებუ კი გვყავს...

ამას რადგან „რატომღაც“ ვერ ვარკვევთ, იმათ მაინც ვკითხოთ, როგორა ბრძანდებიან, ვინც უკვე ამ კავშირის წევრები არიან, უპირველესად კი ძირძველ წევრს, საბერძნეთს... თუმცა, საბერძნეთამდე რა გვინდა, მოცემულობით ჩვენთან უფრო ახლო მდგომს ვკითხოთ, ლატვიას, ყოფილი სსრკ-ის იმ რესპუბლიკას, რომელიც NATO-სა და ევროკავშირის წევრია. მერე რა, თუ სხვის დასანახად ყელყელაობენ, დედა, რა ბედნიერად ვგრძნობთ თავსო, ყველა წევრ ქვეყანაში არიან სიმართლის მთქმელი სუბიექტები, რომლებიც ფართო მასშტაბით არ ჩანან, მაგრამ თავიანთ ხმას მაინც გვაწვდენენ. ჯერ კიდევ როდის ითქვა ეს სიტყვები. ეინარს გრაუდინში (ლატვიელი პოლიტოლოგი): „ევროკავშირში ინტეგრაციამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ლატვიას. ეკონომიკურ ვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მან გზა გაუხსნა არნახულ მასობრივ ემიგრაციას, რაც ყველაზე საშიშია, ფაქტობრივად, ლატვია ახალგაზრდების 90%-ს კარგავს. ამიტომ, შემიძლია ვთქვა, რომ ქვეყანას მომავალი არ აქვს — ეს შეუქცევადი პროცესია. რაც შეეხება NATO-ს წევრობას, ჩვენი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცის როლს ასრულებენ, დაწყებული იუგოსლავიიდან, დამთავრებული ერაყითა და ავღანეთით. გარდა ამისა, ბოლო ორი-სამი წელია, ლატვიის ტერიტორიას აშშ აქტიურად იყენებს სამხედრო პლაცდარმის შესაქმნელად რუსეთთან ომის დაწყების შემთხვევისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ლატვია ახლა, სიტუაციის მძევალია. არანაირ კავშირში არ უნდა შევსულიყავით და არანაირ სამხედრო მოქმედებებში არ უნდა მიგვეღო მონაწილეობა, ნეიტრალიტეტის გზა უნდა აგვერჩია — ეს იქნებოდა ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება. რაც შეეხება უკრაინას — რაც იქ დღეს ხდება, უკრაინის ბრალი არ არის. უკრაინაში მიმდინარეობს გლობალური წინააღმდეგობები აშშ-სა და რუსეთს შორის. აშშ სტანდარტული ამერიკული სქემის მეშვეობით ცდილობს, რუსეთზე ზეგავლენა მოახდინოს. ამერიკელები არასოდეს არაფერს აკეთებენ საკუთარი ხელით, ისინი ყოველთვის სხვა ქვეყნებს იყენებენ.“



რაიმონდ პაულსი: „ქალაქები დაცარიელდა. თუ ვინმე ყვირის და იცინის, ე.ი ის ტურისტია... ევროკავშირი ფულს უხდიდა ადამიანებს, ნავები რომ დაეწვათ, ასე შეამცირეს თევზის რეწვა. მანამდე, ყველა სახლში იყო ნავი და შებოლილი თევზი, მაგრამ „დაგვარწმუნეს“, რომ შებოლილი თევზი ცუდია და ამიტომ არ უნდა ჭამო...“

იმ დროისთვის ლატვიამ შეიღვიძასავით, რადგან მისმა პრეზიდენტმა ანდრეს ბერზინშიმ განაცხადა: „ბაზა, რომელიც ადაჟიში გვაქვს, NATO-ს სამხედრო ბაზაცაა იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ალიანსის წევრი ვართ, ასე რომ, ახალი სამხედრო ბაზა არ გვჭირდება!“

როდესაც საქართველოს დანიის, პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრები ეწვივნენ, ვიზალიბერალიზაცია გვქონდა იდეა-ფიქსად და მათაც კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის მიმართ და რეფორმების გაგრძელების (თუ იმ ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულების აუცილებლობას, რომელთა შესახებაც უკვე აზრზე მოვიდნენ თვით მასზე ხელისმომწერებიც? — ავტ.) საჭიროებას გაუსვეს ხაზი. სამივე მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი ქვეყნები პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოსთან ვიზების ლიბერალიზაციას, მაგრამ საბოლოო სიტყვას მაინც ევროკომისიის ანგარიში იტყვის, რომელიც რიგის სამიტამდე იქნება წარმოდგენილი და მასში დეტალურად იქნება ასახული, როგორ ასრულებს საქართველო აღებულ ვალდებულებებს რეფორმების კუთხითო.

სტუმარ-მასპინძელი, ორივე, კმაყოფილს ჰგავდა, მაგრამ საქმეში არასამთავრობო დესანტი ჩაერთო და რამდენიმესაათიანი საჩივარი „შეიტანა“, მოგვიანებით კი ტელეეთერის საშუალებით გააფთრებული ეცა ნინო ლომჯარია პარლამენტარ გოგი თოფაძეს — არა, ბიჯო და შეარჩენდა იმ სიტყვებს, არც ეგ თქვენი NATO მომწონს და არც ეგ თქვენი არასამთავრობოებიო...

ბატონი ელიზბარ ჯაველიძის სიტყვებს გავიმეორებ: „სამწუხაროა, რომ ნინო ლომჯარია, რომლის არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდამჭერი ასი ადამიანიც არ მოიძებნება, ამდენს ბედავს. რაც შეეხება პოლონეთის, შვედეთისა თუ ვიღაც-ვიღაცების საგარეო საქმეთა მინისტრებს, სჯობს, თავიანთ „მამიდებს“ მიხედონ, რადგან ვიცი, „ძალიან უწესო ქალბატონები“ არიან.“

რატომ დავესესხე?

ჯერ ხომ ევროკავშირთან „მაქსიმალური დაახლოება“ იყო ცინიზმი, თურმე, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მხოლოდ სექსუალურად გზააბნეულ პირთა მაქსიმალურად დასაცავი ფარსი ყოფილა, ახლა — კარგად ბრძანდებოდეთ, სრული 10 წელი მაინც შეგვეშვით, თქვენი ჭყავილი არ გავიგოთო — გამოგვიცხადეს ოფიციალურად.

სადგომში მყოფ დამშეულ ცხვრის ფარას რომ ტომარაში ჩამწყვდეული კატის ფხარკალით ართობს მწყემსი, ისეა საქართველოს საქმე — ჯერ NATO-თი გვართობდნენ, ახლა ევროკავშირთან დაახლოებით გაგვართობენ, ამასობაში კი ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი...

ფაქტია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთის ფაქტორის გამო დაშანტაჟებული მძევალია...

**P.S. კომუნისტების დროს საშიშმა დამნაშავემ, მკვლელმა, ძებნილმა კრიმინალმა, რომელმაც სათითაოდ ამოუხოცა ოჯახის სამი წევრი ჩემ ნათესავს, შემოუთვალა, 10 000 მანეთი მომიტანე, თორემო... თავდაპირველად კი დააპირა დასახელებული თანხის გაგზავნა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, ამას რომ ერთხელ მივცე ფული, სულ მომთხოვს, ამიტომ, სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო...**

მაკა ჯაყელი

# ლოიდ ოსტინი: რუსეთის გამარჯვება უკრაინაში ნატოს დამარცხება იქნება



ზუსტად 60 წელი გავიდა კარიბის, თუნდაც კუბის კრიზისის შემდეგ. მართალია, ახლა ზოგადი სიტყვით „კრიზისით“ მოიხსენიებენ 1962 წლის ოქტომბრის ამბებს, მაგრამ რეალურად მსოფლიო სამი კვირის განმავლობაში ატომური ომის დაწყების საფრთხის წინაშე იდგა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელისუფლებებს ერთი ნაბიჯი რჩებოდათ გამანადგურებელი ომის დაწყებიდან. მაშინ ორივე ქვეყანამ უკან დაიხია, არ დაუშვა, რომ საშინელება დატრიალებულიყო. აშშ-მ თურქეთიდან გაიტანა ბალისტიკური რაკეტები, საბჭოეთმა — კუბიდან. ამით თითქმის ასი მილიონი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. ისტორიკოსები ახლა საუბრობენ, რომ მაშინ მსოფლიოში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებსაც შექმლოთ მოლაპარაკებით, დიალოგით მოეგვარებინათ სადავო საკითხები. ექსპერტების შეფასებით, სამყაროში დღეს მსგავსი პოლიტიკოსები თითქმის აღარ არიან.



სამყაროში დღეს ბირთვული იარაღის გამოყენება რეალური გახდა. ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩინ ინმა ზაფხულში ოფიციალურად გამოაცხადა თავისი ქვეყანა ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოდ. ჩრდილოეთი კორეა თითქმის ყოველ კვირა ატარებს ბალისტიკური რაკეტების გამოცდას. აშშ-სამხრეთ კორეის ერთობლივი სამხედრო წვრთნებით განაწყენებულებმა გასულ კვირას მორიგი რაკეტა გამოსცადეს. წარმატებული გასროლის შემდეგ კინმ ჩინ ინი სამხრეთელებს და მის მოკავშირეებს ომით დაემუქრა. ხუთი წლის განმავლობაში სეულმა პირველად განაახლა ჩრდილელებისთვის სანქციების დაწესება.

შესაძლოა, კიდევ ერთი ცხელი წერტილი გაჩნდეს აღმოსავლეთ ევროპაში. ბელორუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ ქვეყანაში ანტიტერორისტული მდგომარეობა გამოაცხადა. მიზეზი სპეცსამსახურების მიერ მიწოდებული ინფორმაციაა — უკრაინა ცდილობს, განახორციელოს პროვოკაცია ბელორუსის წინააღმდეგ, შეიარაღებულმა ფორმირებებმა სხვადასხვა სტრატეგიული და სამთავრობო ობიექტები დაიკავონ. ამის გარდა, ლუკაშენკოს განცხადებით, პოლონეთი და ლიტვა ბელორუსის საზღვარზე ზრდიან მათი შეიარაღებული ძალების რაოდენობას. ქვეყნის ტერიტორიის დასაცავად ლუკაშენკომ თანამეგობრობის უსაფრთხოების ორგანიზაციას სთხოვა ჯარების შეყვანა. თანამეგობრობის (ძირითადად, რუსეთის) ჯარები და ტექნიკა უკვე შევიდა ბელორუსში.

გასულ ორშაბათს რუსეთის არმიამ კოლოსალური ზარალი მიაყენა უკრაინის ინფრასტრუქტურას. რუსეთმა სხვადასხვა ქალაქებზე შეტევა დღის საათებში განახორციელა. სავარაუდოდ, მათ სურდათ, რომ ყველას დაენახა მათი იარაღის მოქმედების შედეგი. უკრაინელები ზარალის ზუსტ რაოდენობას დღემდე ასაიდუმლოებენ. უფრო მეტიც, ტრაბახობენ, რუსებმა ბევრი ვერაფერი დაგვაკლესო. ცნობილია, რომ დაინგრა თბოელექტროსადგურები, ბევრი მნიშვნელოვანი სამხედრო და საყოფაცხოვრებო ობიექტი. შეტევა ერთდროულად უკრაინის ყველა დიდ ქალაქზე, მათ შორის, კიევზე განხორციელდა. მნიშვნელოვნად დაინგრა კიევში სოფიის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია, სადაც უკრაინის უშიშროების სამსახური მდებარეობს. საბედნიეროდ, ტაძარი არ დაზიანებულა.

ბაიდენი უკრაინელ კოლეგას დახმარების ახალ პაკეტს შეჰპირდა, რომლის რაოდენობაც 725 მილიონი დოლარია. გავრცელებული ინფორმაციით, ამავე დროს ბაიდენმა მკაცრად გააფრთხილა ზელენსკი, შეწყვიტოს იარაღის შემცირებულ მიწოდებაზე წუწუნი, აშშ-ის და ნატოს კრიტიკა, თორემ უმადურობად ჩაგითვლიო. ვნახოთ, თუ შეისმენს ზელენსკი გაფრთხილებას.

საბრძოლო მოქმედებების დასრულებას უკრაინაში ჯერ სასიკეთო პირი არ უჩანს. დიდძალი იარაღის მიწოდების გარდა, ცალკეული პოლიტიკოსები წინააღმდეგნი არიან სამშვიდობო მოლაპარაკების. გერმანიაში რამშტეინის აშშ-ის სამხედრო ბაზაზე უკვე მერვედ გაიმართა ნატოს წევრი და უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. პენტაგონის შეფის, ლოიდ ოსტინის შეფასებით, დროა, უკრაინას გაუზარდონ იარაღის მიწოდება, გადასცენ უფრო თანამედროვე და ძლიერი ტექნიკა. „მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის დახმარებამ უკრაინისთვის 16,8 მლრდ დოლარს მიაღწია“, — განაცხადა ოსტინმა რამშტეინში. ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის თქმით, „უკრაინა დიდი ქვეყანაა. მას დასახმარებლად ბევრი სხვადასხვა ტიპის იარაღი გვჭირდება, რათა მიაღწიონ წარმატებას ბრძოლის ველზე... რუსეთის გამარჯვება უკრაინაში ყველა ჩვენგანის, ალიანსის დამარცხება იქნება“. გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა ყველას აჯობა: „...რუსეთმა და მისმა თანამოაზრეებმა გვაჩვენეს, რომ უკრაინაში ომის დაწყებით ევროპაზე ჯვაროსნულ ლაშქრობას ახორციელებენ“.

საომარ რიტორიკას ყველა როდი იზიარებს. ამერიკელი პოლიტოლოგების შეფასებით, უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების დაწყება და შექმნილი სიტუაცია ბაიდენისთვის საჩუქარი აღმოჩნდა. ფრანგი პარლამენტარები ევროპაში ეკონომიკის რყევაში პირდაპირ აშშ-ს ადანაშაულებენ. მათი თქმით „...უკრაინაში მიმდინარე ომის მიზეზით არ უნდა დავუშვათ აშშ-ის გამდიდრება ევროპის ქვეყნების ხარჯზე“. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი დარწმუნებით ამბობს: „უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება უნდა მოხდეს არა რუსეთ-უკრაინის, არამედ აშშ-რუსეთის მოლაპარაკებების გზით“. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონიც მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებს. მისივე განცხადებით: „... ჩვენ არ შეგვიძლია უკრაინელებს მივცეთ იმდენი იარაღი, რასაც ითხოვენ, რადგან თავად დაუცველები დავრჩებით“.

უთანხმოება შეინიშნება ნატოს ქვეყნებს შორის. თურქეთი კვლავ არ ეთანხმება ალიანსში შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანებას. პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი არავის აზრს არ ითვალისწინებს, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებით მოქმედებს. განაწყენებულმა შვედეთის ხელისუფლებამ პირდაპირ განაცხადა: „ვიდრე თურქეთში პრეზიდენტი ერდოღანია, ჩვენ ნატოში არაფერი გვესაქმება“. საინტერესოა, რა გაგრძელება მოჰყვება შვედების პრეტენზიებს.

რთული სიტუაციაა შექმნილი აშშ-ში, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კუთხით. პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ძალიან გაბრაზებულია საუდის არაბეთზე. მისმა ადმინისტრაციამ არაბებს სთხოვა, ერთი თვით მაინც გადაეწიათ ნავთობის მოპოვების შემცირებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულება, მაგრამ უარი მიიღო. ამიტომ ემუქრება ბაიდენი საუდის არაბეთს დასჯით, როგორ, არ აკონკრეტებს. ცნობილი გახდა, რომ მათ იარაღის მიყიდვას შეუჩერებს. ექსპერტები ალაპარაკდნენ საუდის არაბეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის შესაძლებლობაზე. ამით ქვეყანა დაუცველი დარჩება, მაგრამ აშშ დაკარგავს მნიშვნელოვან მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში.

გვახსოვს, სამი წლის წინად დემოკრატების მხარდაჭერითა და წაქეზებით, აშშ-ში დაფუძნდა მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“. ამით გათამამებულმა შავკანიანებმა ბევრი უმსგავსობა ჩაიდინეს. ახლა თეთრკანიანი მოსახლეობა აპირებს იგივეს გამეორებას ლოზუნგით „თეთრების სიცოცხლემნიშვნელოვანია“. ამან, აშშ-ში, შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირებაც გამოიწვიოს.



ერთბაშად სამ სამიტს უმასპინძლა ყაზახეთის დედაქალაქმა. მოქმედმა პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა თანამდებობის დაკავებისთანავე სამი წლის წინათ ასტანას სახელი შეუცვალა და ნურსულტანი დაეარქვა. ამ ზაფხულში რატომღაც კვლავ დაუბრუნა ძველი სახელი. აზიის უსაფრთხოების ნდობის ორგანიზაციაში 28-ე წევრად ქუვეითი მიიღეს. ერთ-ერთი მტავარი მოვლენა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინისა და ერდოღანის პირისპირ შეხვედრა გახდა. შეთანხმდნენ, რომ თურქეთი ევროპაში გადასაქაჩი გაზის მთავარი ჰაბი გახდება. ამით ორივე ქვეყანამ გაიმყარა პოზიციები, რადგან ბუნებრივი გაზი ევროპას ჰაერივით სჭირდება. საყურადღებო იყო ასევე პუტინის ორი განცხადება. „...უკრაინაში ახალ მასირებულ დაბომბვებს ჯერ საჭიროდს არ მივიჩნევთ. მერე ვნახოთ... ჩვენ ჯერ თავშეკავებულები ვართ უკრაინის მხრიდან რუსეთის ტერიტორიებზე შეტევებით. თუ ასე გააგრძელეს, მივიღებთ სათანადო მკაცრ ზომებს“. თუმცა ორშაბათს კვლავ დაიბომბა კიევი, ნიკოლაევი, ოდესა... მთელ უკრაინაში გამოცხადებული იყო საჰაერო განგაში, მოსახლეობა თავშესაფრებს მიაწყდა... ზარალი კვლავ კოლოსალურია.

„ევროპა მოვლილი ბაღია, რომელიც ჩვენ შევქმენით. დანარჩენი სამყარო აგრესიული ჯუნგლებია, საიდანაც ეცდებიან ჩვენს ბაღში შემოსვლას“, — განაცხადა გასულ კვირას ბელგიაში დიპლომატიური უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას ევროკავშირის პირველმა დიპლომატმა ჟოზეპ ბორელიმ. მართალია, იგი პროფესიით დიპლომატი არ არის, მათემატიკოსია, მაგრამ პოლიტიკური თანამდებობის მფლობელია. მისი სიტყვები პოლიტოლოგებმა რასისტულ გამონათქვამად შეაფასეს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# რეზოლუციაში ჩაკვეხებული ფაფაჯვია

ეს მაოხრებელი გზირი, საქართველოს მისხალ-მისხალ გამნიავებელი და ბოროტი მავნებელი, ერთ დროს ქვეყნის პრეზიდენტი, შემდგომ „სმეტან კონტეინერსკი“ და ბოლოს აფერისტი ფაფაჯვია, ყველაფერს აკეთებს თავის ბანდასთან ერთად, რომ საქართველო ყოველთვის და რამენაირად ან შარში გახვიოს, ან გაილანძღოს, ან უბრალოდ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. მოკლედ რომ ვთქვათ, აუცილებლად რამე ავნოს.

პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „ევროპის სახალხო პარტიას“ ბოლო მომენტში შეაქვს ცვლილება რაიმე დოკუმენტში. არა ერთხელ და ორჯერ მოქცეულან ასე, როდესაც მათ მიერ შეტანილი ცვლილებები საერთოდ აცდენილია ფაქტებს, მაგრამ არ დაადგათ საშველი, ქართველი მავნებლების მიერ



მონუსხული ევროპელები მავნე ჩვევას ვერ იშლიან. შესაბამისად, „ევროპის საბჭოს“ რეზოლუციამ საქართველოსგან მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღო, კენჭისყრაზე მონაწილეობაზე კი ხელი აიქნია.

„ევროპის სახალხო პარტიის“ ინიციატივით ცვლილება შეეხო ჩანაწერს, რომელშიც საუბარია პუტინის მოწინააღმდეგეთა დევნაზე და ამ კონტექსტში ოპოზიციონერ ვლადიმერ კარა-მურზასთან ერთად მიხეილ სააკაშვილი ჩაიწერა, როგორც უკრაინის მოქალაქე და პოლიტპატიმარი.

ხალხს უკვირდა, ამ ბოლო დროს რატომ გახალისდა „ვივამედში“ ჩასახლებული უტიფარი, სიმულიანტი და ფაფაჯვია პატიმარიო და აი, რაში ყოფილა საქმე, რაღაც იმედი მისცემია, ეგებ, მეშველოს უკრაინის მოქალაქედ წარმოჩენილსო და გადაიფიქრა სიკვდილი, მოღონიერდა, მოფერიანდა და ისევ დაიწყეს ჩვეული მავნებლობა.

„ევროპის საბჭოს ისტორიულ დოკუმენტში ჩემი, როგორც პუტინის პირადი პატიმრის ჩართვა, სიტუაციის ზუსტი აღწერაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მახარებს. ეს აზიანებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას და მიმაჩნია, რომ ამ რთულ ვითარებაში საქართველოს ვნებს მეტი შინაგანი კონფრონტაცია და პირიქით, სჭირდება კონსოლიდაცია და საერთო ენის გამონახვა“, — გამოსტყორცნა დიდმა სიმულიანტმა საკან-პალატიდან, მაგრამ ის აღარ დაამატა, რომ ეს ჩანაწერი მისი გარყვნილ-მავნებელი პარტიის პარტნიორი ევროპული პარტიის მიერ არის ჩამატებული. კაცმა რომ იკითხოს, რა ხიბლ-სიყვარული უნდა ჰქონდეს ატეხილი ამ ორ პარტიას წლების განმავლობაში, საიდან და რა მიზეზით, რატომ არავინ ინტერესდება?

შესაძლოა, ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია სავალდებულო ხასიათის არ არის და მხოლოდ მოწოდებით ხასიათს ატარებს, მაგრამ თვით ეს ქმედება რას ნიშნავს, ევროსაბჭომ მხოლოდ იმიტომ აუნთო მწვანე შუქი ამგვარ ჩანაწერს, რომ საქართველომ მეორე ფრონტი არ გაუხსნა რუსეთს? სხვას რას უნდა მივაწეროთ, როცა ყველამ კარგად იცის, მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარი კი არა, თავისი ბანდიანად ის სისხლისმსმელი დიქტატორი იყო, რომელმაც სასტიკი დანაშაულებრივი სისტემა შექმნა? როცა ყველამ კარგად იცის, რა ცოდვის კალო იყო საქართველოში მისივე ლოზუნგების ფარქვეშ „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ ხოლო იმ ციხეებში კიდევ რა ტრიალებდა — მეორე აბუ-გრეიბი. თუმცა რა, აბუ-გრეიბის შემქმნელებს რაღა პასუხი მოეთხოვათ, რომ მათსავე „ძაღლიშვილისთვის“ ვინმეს მოეთხოვა ან მოსთხოვოს... ის ბრალდებები, რაც მას წაუყენეს, ზღვაში წვეთზე ნაკლებია...

საქართველოსთვის ოდესღაც მნიშვნელოვან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას სააკაშვილის ხელისუფლების მმართველობის 9 წლის განმავლობაში ნელ-ნელა ეკარგებოდა ფასი და ახლა საბოლოოდ გაუფასურდა. 652 დეპუტატიდან თუ მხოლოდ 91 დეპუტატი ესწრებოდა და მათგან მხოლოდ 56-მა მისცა ხმა ამ რეზოლუციას, ელემენტარულად, ნიშნავს იმას, რომ იქ ვინც იცის ღირებულებების ფასი, იცის, რას ნიშნავს პოლიტპატიმარი და იცის კიდევ ბევრი რამ, ის ადამიანები „სააკაშვილის საქმესთან“ დაკავშირებით, ბუნებრივია, თავს შეიკავებდნენ. მერე რა, რომ რეზოლუცია მიიღეს და სააკაშვილი პირდაპირ ან ირიბად არის ნახსენები, ფაქტობრივად, საკუთარი თავი დაიზარალეს ე.წ ისტორიულ ფურცელზე, რადგან აბსურდულობამდე მივიდა მათი რეგლამენტი, რომ რეზოლუციის მიღება შესაძლებელია ამ რიცხობრივი შეფარდების შემთხვევაში.

ცალკე იმ 56 ხმისმიმცემის განწყობა-აზროვნებაა საინტერესო და ცალკე მათი ვინაობა, ვინც ამ აბსურდს დაუჭირა მხარი, იქნებ, რამენაირად ჩავწვდეთ, რა ვალ-ვალდებულება აქვთ „ნაციონალური მოძრაობის“ წინაშე. ეს ხომ ის ხალხია, რომელთაც წინ უდევთ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ცხონებულ სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით, ცხონებულ სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით, ვალერი გელაშვილთან დაკავშირებით... ევროპულ სასამართლოზეა საუბარი, ქართულ სასამართლოზე ხომ არა, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებში პირდაპირ იყო ჩართული იმდროინდელი საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი. ეს თავიანთივე „ევროპული ვერდიქტი“ რომ წინ უდევთ ევროპელებს, თვითონვე ახტებიან თავზე და ხელს აწერენ, აღნიშნული დამნაშავე პირი პოლიტიკური პატიმარიაო, თავის სამართლებლად ისიც აღარ აქვთ, რომ რაღაც გამოეპარათ, არ იცოდნენ, ან ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა ასე ერთად, ხუთი ათეული დეპუტატი.

გარდა ამისა, როდესაც მსჯავრდებული სააკაშვილის ადვოკატებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს, თითქოს ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის პროცესში შეილახა პატიმრის ღირსება, მის მიმართ იყო არაადამიანური მოპყრობა, ევროპულმა სასამართლომ ეს განხილვის საგნადაც არ აქცია; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რისთვისაც სიმულიანტი პატიმარი „ვივამედში“ კოტრიალობს და, ფაქტობრივად, კლინიკაში იხდის სასჯელს, მის გასაჩივრებას ისე გაუვიდა ვადა, მის ადვოკატებს კრინტიც კი არ დაუძრავთ და ხელი არ გაუტოკებიათ, მიემართათ ევროსასამართლოსთვის, რომ განაჩენი უკანონოა და ნაკარნახევია პოლიტიკური ინტესებიდან გამომდინარეო. როგორც უამრავმა სხვამ, ასევე ადვოკატებმაც მშვენივრად იციან, რაც აქვს ჩადენილი მიხეილ სააკაშვილს და რის გამოც სასჯელს იხდის, მხოლოდ მცირედია იმ დანაშაულებიდან და არ უნდა გაქექონ, თორემ უფრო აუმყრალდება საქმეები.

ეს ყველაფერი რომ კარგად იციან, ვიცით, მაგრამ რომ დავუშვათ არ იციანო „უი!“ და თუ იციან „ვაი!“ სწორედ ეს ღირსება და ღირებულებადაკარგული ევროპული „ვაი-უი“ არის, დასავლეთისადმი ნდობას რომ ასე თანმიმდევრულად აკარგვინებს საქართველოს, შემდეგ გამოდგებიან მაღალი რანგის ცალკეული სუბიექტები და კონკრეტულ პირებში ეძებენ ამ განწყობის კრებსით შემოქმედს. როდესაც ჩემი სიმართლე არ გინდა და მაიძულებ, შენი სიცრუე სიმართლედ მივიღო, ეს პერიოდი უკვე ვტკეპნეთ 70 წლის განმავლობაში, ახლა შემოტრიალდა ვითარება და პირიქით როდემდე უნდა ვტკეპნოთ?

ჩვენ იმიტომ შევხაროდით ე.წ. დასავლეთს, რომ იქ გვეგულებოდა თავისუფლება, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და ყველაფერი, რაც ადამიანისთვის ღირსების დამცავი და ღირებულების მქონეა, ახლა კი რას ვხედავთ და რა ხდება, შავზე თეთრი უნდა ვიძახოთ ისევ, თავზე ნაცარი წავიყაროთ და ამჯერად დასავლეთის დაკრულზე ვიცეკვოთ? ამიტომ გაჩნდა შეტრიალებული იარლიყებიც, ადრე თუ თავისუფლებისმოყვარე ადამიანი ქვეყნის მტრად და დასავლეთის აგენტად ინათლებოდა, ახლა რუსეთის აგენტად ინათლება — ასე გაგრძელება შეუძლებელია!

ანდა, რომელი პუტინის პირადი პატიმარია ეს სიმულიანტი, როცა სწორედ ჰალსტუხიჭამია სააკაშვილმა გადასცა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსეთს, გადასცა საქართველოს ტერიტორიები და საქართველოს დედაქალაქიდან 40 კილომეტრში ჩააყენებინა იმ რუსეთს ჯარი, რომელსაც უკვე ქვეყნის 20% აქვს ოკუპირებული და მეტის ართმევაც შეუძლია უმოკლეს დროში? რატომ გვახსოვს, რომ ზელენსკის სწორედ პუტინის მითითებამ მიაცემინა უკრაინის მოქალაქეობა სააკაშვილისთვის?

ზოგადად კი, იმ პრეზიდენტის დედა ვატირე, ვინც თავისი ქვეყნის მოქალაქეობას სხვა ქვეყნის რომელიღაც ოლქის გუბერნატორობაზე გაცვლის... ამით გამოიტან დასკვნას, რა კაცზეა (არაკაცზე) საუბარი...



ერთი ლიზა იასკო და ერთი ხატია დეკანოიძე რომ არ დგას ამ ჩანაწერის უკან, ცხადია, მაგრამ რა ენის სიბრგვილე დაემართათ აქეთ, რატომ რიხით არ ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი უკრაინული განაყოფით კონკრეტულად „ქართულ ოცნებას“ კი არ მტრობენ, არამედ ქვეყანა საქართველოს ებრძვიან. მოსაწყენი მოსასმენი გახდა უკრაინული მხრიდან ტყუილი მეგობრობა, როცა ერთი კონკრეტული პარტიის მეგობრები არიან და თუ ისინი არ იქნებიან ხელისუფლების სათავეში, ისეთი მტრული გამოხტომები აქვთ, მეზობელი ქვეყანა რომ იყოს და საერთო საზღვარი გვქონდეს, სიხარულით გადმოსტყორცნიდნენ აქეთ ხუთ-ექვს უბედურებას ტერორისტული აქტების დართვით. ასე იკითხება მათ აგრესიაში...

**ზურაბ ოქხერელი**

# როგორ მოვიქცეთ, წამალი საწამლავად რომ არ იქცეს

**რამაზ გახოკიძე — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილი წევრი. მინიჭებული აქვს სხვადასხვა მაღალი პრემია. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია „XX საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა“ სიაში. არის ამერიკის ღირსების ორდენისა და საქართველოს ღირსების ორდენის ორგზის კავალერი.**

**ბატონი რამაზი „საერთო გაზეთს“ ესაუბრა წამლის მიღების წესებსა და იმაზე, თუ რა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას საკვებისა და მედიკამენტების არასწორი მოხმარება:**



### ფრთხილად! — ცხიმოვანი საკვები წამლის მოქმედებას ასუსტებს!

რძე და რძის პროდუქტები კალციუმის წყაროა. მათი მიღება ამაგრებს ძვლებს და აუმჯობესებს ნერვული სისტემის ფუნქციონირებას. მაგრამ ასეთ პროდუქტებთან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, როცა ქინოლინის ან ტეტრაციკლინის რიგის ანტიბაქტერიული პრეპარატებით (ლევოფლოქსაცინი, ნორფლოქსაცინი, ოფლოქსაცინი, ციპროფლოქსაცინი, დოქსიციკლინი, ტეტრაციკლინი) მკურნალობთ. ძროხის რძეში შეიძლება აღმოჩნდეს ზრდის ჰორმონები და ანტიბიოტიკები, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებს ტესტოსტერონის, ესტროგენისა და პროგესტერონის ბუნებრივ გამომუშავებაზე. ცხიმოვანი საკ-



ვები მრავალი წამლის მოქმედებას ასუსტებს. ნახშირწყლოვანი პროდუქტები თითქმის ორჯერ ამცირებს ისეთი პრეპარატების კონცენტრაციას, როგორებიცაა ტეტრაციკლინი, ამპიცილინი, დ ვიტამინი. პროდუქტები, რომლებიც დიდი ოდენობით შეიცავს უჯრედისს, მაგალითად, ბოსტნეული, ხილი, ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლოა. უჯრედისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გულის დაავადებების და დიაბეტის რისკის შემცირებაში, მაგრამ, რადგან უჯრედისი აფერხებს საჭმლის მონელების პროცესს, მნიშვნელოვნად ფერხდება სისხლში სამკურნალო პრეპარატების შეწოვა. ამის შედეგად, დაავადებაზე პრეპარატების ზემოქმედების ეფექტი სუსტდება.

### რატომ არ შეიძლება წამალზე ჩაის დაყოლება და რომელი პრეპარატები უნდა დალიოთ რძესთან ერთად?

თავისთავად, ცხადი და დაუშვებელია სამკურნალო პრეპარატების სპირტიან სასმელებთან ერთად მიღება, რაც ტრაგიკულ შედეგებს იწვევს. მაგალითად, ალკოჰოლის მიღება ინსულინთან ერთად ჰიპოგლიკემიურ კომას იწვევს, არტერიული წნევის დამწევ მედიკამენტებთან ერთად კი — სისხლძარღვთა კოლაფსს (გონების დაკარგვას), პარაცეტამოლთან ერთად — ღვიძლის დაზიანებას, ხოლო ასპირინთან ერთად — გასტრიტს, კუჭის წყლულოვან დაავადებას. ზოგიერთი წამალი წყლის ნაცვლად სხვა სითხესთან ერთად უნდა მივიღოთ. მაგალითად, ინდომეტაცინზე ან რეზერპინზე, ქიმიური თავისებურებების გამო, რეკომენდებულია რძის დაყოლება. იგივე ეხება იოდის პრეპარატებსაც. ასპირინზე რეკომენდებულია ბორჯომისა და სხვა ტუტემინერალური სასმელების დაყოლება. რძის დაყოლება არ შეიძლება ტეტრაციკლინზე, რადგან ამ დროს პრეპარატის აქტიურობა სუსტდება. ხილის წვენები, განსაკუთრებით, მჟავე, ეფექტს უკარგავს ანტაციდურ (კუჭის წვენის მჟავიანობის შემამცირებელ) პრეპარატებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წვენის ან კომპოტის დაყოლება საგულე გლიკოზიდებზე (დიგოქსინი და სხვა) და სულფანილამიდებზე (სტრეპტოციდი, სულფალენი და ა.შ.), რომლებიც ქიმიური ბუნებით ტუტეებს წარმოადგენენ. ასევე, არ შეიძლება რძის, ყავის, კოკა-კოლას, ბროწეულის წვენის დაყოლება პენიცილინისა და ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებსა და რკინის შემცველ პრეპარატებზე. ციტრამონისა და ასპირინის ყავით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლისა და სხვა ორგანოების მდგომარეობის გაუარესება. ნუ დააყოლებთ აბებს ჩაის. მასში შემავალი ტანინი წარმოქმნის უხსნად ნივთიერებებს და იწვევს მრავალი წამლის უკან გამოლექვას. აბების დასაყოლებლად ერთადერთ უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს წყალი, ოღონდ, ოთახის ტემპერატურის და არა ყინულიანი. ჩვეულებრივ, საკმარისია მეოთხედი ჭიქა, განსაკუთრებულ შემთხვევებში (სალიცილატები) კი უფრო დიდი რაოდენობით.

### ნიორი — თრომბების წარმოქმნის რისკი?!

კ ვიტამინი მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს სისხლის შედედების პროცესში, მაგრამ იმ პირებმა, რომლებიც სისხლის გამათხელებელი პრეპარატებით მკურნალობენ, მაგალითად, ვარფარინით, უარი უნდა თქვან შემდეგ პროდუქტებზე: სალათა, კომბოსტო, ბროკოლი, ისპანახი, მწვანილი, ნიორი, ჭინჭარი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ნიორი მეტისმეტად ასქელებს სისხლს, რის გამოც თრომბების წარმოქმნის რისკი რამდენჯერმე იზრდება.

### როდის მივიღოთ წამალი — ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?

წამლის მოქმედება, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხვდება იგი ორგანიზმში. წამლები ცარიელ კუჭზე ძალიან ძლიერად მოქმედებს. ჭამის შემდეგ წამლის მიღება ორგანიზმისთვის ნაკლებ საზიანოა. თუმცა, ეფექტი ბევრად ნაკლებია. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ჭამამდე ის წამლები უნდა მივიღოთ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებისთვის, მაგალითად, ანტიბიოტიკები, ონკოლოგიაში გამოყენებული პრეპარატები. ტკივილგამაყუჩებელი წამლების მიღება ჭამის შემდეგ სჯობს, რადგან ისინი ძლიერად მოქმედებენ კუჭის ლორწოვან გარსზე. ცხიმში ხსნადი ვიტამინების (ა, დ, ე, ეფ, კ) მიღება აუცილებელია ჭამის შემდეგ ცხოველური და მცენარეული ცხიმებით მდიდარ საკვებთან ერთად, რომლებიც მათ შეწოვას აჩქარებს, ხოლო წყალში ხსნადისა (ცე და ბე ჯგუფის) — ჭამამდე ან ჭამის დროს. კომპლექსური პოლივიტამინური პრეპარატების მიღება სასურველია ჭამისთანავე. ასპირინი აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, ამიტომ იგი უნდა მიიღოთ ჭამის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება ისეთი დაავადებების რისკი, როგორიცაა გასტრიტი, კუჭის წყლული და ა.შ. ასპირინის მიღებამდე ერთი საათის განმავლობაში არ უნდა ჭამოთ ცხარე საკვები და ციტრუსები. ასპირინზე არ შეიძლება ფორთოხლის ან სხვა მჟავე წვენების დაყოლება. წამლის უმრავლესობას იღებენ ჭამამდე 30-40 წუთით ადრე (ამ დროს მათი შეწოვა კარგად ხდება), ზოგჯერ 15 წუთით ადრე, მაგალითად, ჭამამდე იღებენ კორდარონს, პულსნორმს, ობზიდანს, ტრაზიკორს, პანანგინს, იზოპტინს. ჭამის დროს იღებენ პეფსინს, ფესტალს, დიგესტალს, პანზინორმს და სხვა მსგავს პრეპარატებს, რომლებიც საჭმლის მონელებას ხელს უწყობს. საკვებთან ერთად სასურველია სენის, ხეჭრელის ქერქის, რევანდის ფესვების, ხეშავის ნაყოფის მიღება. წამის დროს უნდა მიიღოთ ქინიდინი (ანტიარითმიული და მალარიის საწინააღმდეგო საშუალება), ეუფილინი (ასთმის საწინააღმდეგო საშუალება), ლევომიცეტინი (ფართო სპექტრის მოქმედების ანტიბიოტიკი). კვების დროს კუჭის წვენის მჟავიანობა ძალიან მაღალია, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს წამლების მდგრადობაზე და სისხლში მათ შეწოვაზე. მჟავა გარემოში ქვეითდება ერითრომიცინის, ლინკომიცინისა და სხვა ანტიბიოტიკების მოქმედება. თუ წამალი ჭამის შემდეგ დაგინიშნეს, საუკეთესო თერაპიული ეფექტის მისაღებად დაიცადეთ არანაკლებ ორი საათი. ჭამისთანავე, ძირითადად, ისეთ პრეპარატებს იღებენ, რომლებიც აღიზიანებს კუჭს და ნაწლავების ლორწოვან გარსს, მაგალითად, დიაკარბი, ჰიპოტიაზიდი, ფუროსემიდი, ასპირინი, ბუტადიონი, ვოლტარენი, იბუპროფენი, ასკოფენი, ციტრამონი, დიგოქსინი, დიგოტოქსინი, სტრეპტოციდი, სულფადიმეტოქსინი, ნორსულფაზოლი, ფტალაზოლი, ალოხოლი.



### დროის რა მონაკვეთში უნდა მივიღოთ წამალი ამა თუ იმ ორგანოს სამკურნალოდ?

მკურნალობის ეფექტი ბევრად არის დამოკიდებული წამლის მიღების დროზე. მაგალითად, პარაცეტამოლის მიღება სასურველია ჭამამდე 30 წუთით ადრე, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვეთრად მცირდება საკვები ნივთიერებების სისხლში შეწოვა. ექიმები გვირჩევენ, რომ წამლები ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მივიღოთ, რადგან დღის განმავლობაში იცვლება სამკურნალო პრეპარატთა შეთვისება. ალერგოლოგების აზრით, ასთმური შეტევა, ჩვეულებრივ, საღამოს ხდება, ამიტომ წამლის მიღება სასურველია დღის 3 საათზე. სისხლის წნევა, ჩვეულებრივ, მაღლა იწევს დილით და მთელი დღის განმავლობაში შენარჩუნებულია. ამიტომ, ჰიპერტონიის სამკურნალო წამლის მიღება სასურველია ძილის წინ. ართრიტისა და ართროზის დროს ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა მიღება, განსაკუთრებით, ეფექტურია დღის 2 საათზე, თანაც კუჭზე ნაკლებად მოქმედებს. გრიპისა და გაციების დროს ანთების საწინააღმდეგო აბები და მიქსტურები კარგად მუშაობს და თანაეფექტებსაც არ იძლევა, თუ ღამით მივიღებთ. წამლებით მკურნალობისას ადამიანზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორს ბიორითმების გავლენა წარმოადგენს. ორგანიზმის თითოეული უჯრედი გრძნობს დროს — დღე-ღამის მონაცვლეობას, წელიწადის დროების ცვლილებას. ადამიანის ორგანიზმის 300-ზე მეტ ფიზიოლოგიურ ფუნქციაზე, როგორებიცაა არტერიული წნევა, პულსის სიხშირე, სხეულის ტემპერატურა, სისხლში ჰორმონების კონცენტრაცია, ღვიძლის და თირკმლების მუშაობის აქტიურობა და სხვა, ზემოქმედებს დღეღამური და სეზონური რხევები. მედიცინის სპეციალური დარგი — ქრონოფარმაკოლოგია სწავლობს ბიოლოგიური რითმების გავლენას წამალთა შეთვისებაზე. წამლის მოქმედება ამა თუ იმ ორგანოზე დღის გარკვეულ საათებში განსხვავებულია.

**თამარ შველიძე**

(გაგრძელება იქნება)

# გამოსახლების ანატომია

## რატომ უნდა დაბრუნდეს ფიზიკური პირებისთვის იპოთეკური სესხების აღების უფლება და რა სიმახინჯე მივიღეთ საბანკო რეგულაციების შედეგად?



*გვესაუბრება ადვოკატი*
*ლევან ჭილლაძე*
557 74 98 87

საქართველოში იპოთეკური სესხებისა და გამოსახლებების თემა, კვლავ, მტკივნეულია. ძირითადი მიზეზი, როგორც დაკვირვებიდან ჩანს, ის ახალი საბანკო რეგულაციებია, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 4 დეკემბერს მიიღო. ახალი სამოქალაქო კოდექსის **(მუხლი 625 - პროცენტი სესხისათვის)** პროცენტის ნაწილშიცვლილება შევიდა, რის საფუძველზეც, კერძო პირებს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმება საერთოდ აეკრძალათ. თუმცა, ბაზარზე გაჩნდა უფრო მეტად მანკიერი პრაქტიკა, ვიდრე ამას საზოგადოება მოელოდა. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოთხრობილი ერთი ოჯახის ისტორიიდან, რომლის ინტერესებსაც სასამართლოში ვიცავდი.

### იპოთეკური სესხების გაუქმება და მახინჯი სისტემის მსხვერპლი ოჯახები

2019 წლის ბოლოს, პირობითად, დავითმა სკოლის დასრულების შემდეგ მცირე ბიზნესის მოწყობა გადაწყვიტა. მოულოდნელად მზრუნველი დედა ავად გაუხდა და ოჯახის მთელი დანაზოგი სამედიცინო მომსახურებისთვის დახარჯა. დავითმა ოჯახის შენახვის მიზნით მცირე ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტა, რისთვისაც, მისივე გათვლით, ხუთი ათასი ლარი იყო საჭირო. სკოლაში სწავლის პერიოდშივე დავითი, ხშირად სტუმრობდა კაფეებს და კარგად აითვისა სამზარეულოს მენეჯმენტი. მან იფიქრა, რომ ასეთი გამოცდილება, შემდგომ, მის ბიზნესს წაადგებოდა. მართალია, დავითის დედა შვილის წამოწყებას ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ შვილისთვის ოცნების ასრულებაზე უარი არ უთქვამს. სესხის მოთხოვნის მიღების მიზნით, ოჯახმა ყველა ბანკი ფეხით მოიარა. პარალელურად, იმ „საოცნებო“ კაფეს მეპატრონე დავითს დღეებს უთვლიდა — თუ იგი იჯარის სწრაფად აღებას არ გადაწყვეტდა და წინასწარ ორი თვის თანხას მაინც არ გადაიხდიდა, კაფეს სხვა მსურველს მიაქირავებდა. ამ ორომტრიალს კიდევ ერთი საკანონმდებლო ლაბირინთიც დაემატა: დავითს ერთ-ერთ „კომერციულ ბანკში“ განუცხადეს, რომ ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების გამო, კერძო პირებზე იპოთეკური სესხის გაცემა, უკვე, აკრძალული იყო. ერთადერთ გამოსავლად მხოლოდ ე. წ. კერძო მევახშის დახმარება რჩებოდა, რომლის მოძიებაშიც საშუამავლო ფირმა დაეხმარებოდათ.

დავითის დედა იხსენებს, რომ ბანკებისგან მიღებული უარის შემდგომ, მათ კერძო მევახშის ძებნა დაიწყეს. ამ საქმეში გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა რამდენიმე კერძო საშუამავლო ფირმა ურჩიეს, რომლებიც მათთვის საჭირო თანხის მოძიებაში დაეხმარებოდნენ. საბურთალოზე ერთ-ერთ ოფისს მიაშურეს, რომელიც, ფაქტობრივად, ნოტარიუსის გვერდით იყო განთავსებული. ნოტარიუსებისა და საშუამავლო ოფისის გვერდიგვერდ



არსებობის მიუხედავად, დავითის ოჯახს ფირმის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შეუტანია. საშუამავლო ოფისში მეგობრული მიღებისას ოჯახს განუმარტეს, რომ ახალი კანონის მიხედვით, უკვე ფორმდებოდა ბინის ყიდვა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, რომელიც შემდგომ საჯარო რეესტრში გატარდებოდა და, რაც მთავარია, ეს იქნებოდა ჩვეულებრივი სესხი, რაც იმას გულისხმობდა, რომ თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში, ქონება უკან დაუბრუნდებოდათ. გამოუცდელობის გამო, იმ მომენტისათვის შეთავაზება იმდენად სარწმუნო ჩანდა, მათ არაკეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შეპარვიათ. საშუამავლო ოფისის თანამშრომლებმა მათთვის გაუგებარი შინაარსის მქონე ხელშეკრულებაზე ხელი სახელდახელოდ მოაწერინეს. ერთი რამ კი დანამდვილებით ახსოვთ — იმ პირქუში ქალბატონი ნოტარიუსის გამოხედვა და კომენტარი: თუ ვალს არ გადაიხდი, ბინას დაკარგავო. მხოლოდ მეორე დღეს გადახედეს ხელშეკრულების წვრილად დაწერილ ტექსტს და გარკვეული შეუსაბამობები აღმოაჩინეს. კერძოდ, ვიღაც მოქალაქისგან (რომელიც თვალითაც არ უნახავთ) სესხის სახით მოთხოვნილი ხუთი ათასი ლარის ნაცვლად რვა ათასი ლარი მიუღიათ. რა თქმა უნდა, საქმის ვითარებაში გასარკვევად და განმარტებების მისაღებად, ოჯახი საშუამავლო ოფისს ეწვია, სადაც ისევ „მეგობრულად“ განუმარტეს, რომ დამატებითი სამი ათასი ლარი ნოტარიუსის ხარჯს, საშუამავლო ოფისის მომსახურებასა და წინასწარ სამი თვის პროცენტს ითვალისწინებდა. დიდი დავიდარაბის შემდეგ ერთადერთი, რაც მაშინ მოახერხეს, ის იყო, რომ გამსესხებლის საკონტაქტო ნომერი მოიპოვეს. გადაწყვიტეს, კონტაქტზე პირდაპირ გამსესხებელთან გასულიყვნენ და როგორმე გამოეხსნათ მევალისგან ერთადერთი საცხოვრებელი. გამსესხებელი ქალბატონის მოთხოვნით, ოჯახი კეთილსინდისიერად იხდიდა ყოველთვიურ პროცენტს, მაგრამ პანდემიის პერიოდში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მხოლოდ, ერთადერთხელ მოუწიათ ბანკის მეშვეობით მის პირად ანგარიშზე თანხის გადარიცხვა, რასაც გამსესხებლის დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ეს საბედისწერო გადარიცხვა აღმოჩნდა შემდგომში სასამართლოს დავისთვის გადამწყვეტი დოკუმენტი ბინის მევახშისგან დასაბრუნებლად.



მთელი ეს ისტორია სწორედ იმ მიზნით მოვიტანეთ მკითხველამდე, რომ კარგად დაგვენახვებინა ის საფრთხეები, რაც ნაჩქარევად მიღებულ საკანონმდებლო რეგულაციებს ახლავს. ამ ოჯახის საქმეზე სასამართლომ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა, მხარეებს შორის დადებულ ყიდვა-გამოსყიდვის ხელშეკრულებას თვალთმაქცურად დადებული გარიგება უწოდა და სესხისა და იპოთეკის არსებობა დაადგინა. არსებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც სასამართლოები მსგავსი ტიპის გარიგებებს იხილავენ, ყურადღებას აქცევენ, რა იმალება ამა თუ იმ ხელშეკრულების მიღმა და მოსამართლე იძულებულია, გააუქმოს გარიგებები და ამოვიდეს მხარეთა ნამდვილი ნებიდან, რაც მათ ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინეს. არსებული სასამართლო პრაქტიკა კანონმდებლისათვის კარგი საშუალება და საფუძველია კანონში ცვლილებების ან დამატებების შეტანისათვის, რათა დღეს დამკვიდრებული მავნე პრაქტიკა აღმოიფხვრას.

**P.S. გამოსახლებების თემასთან დაკავშირებით რედაქცია გეგმავს კონკრეტული ფაქტებისა და საკითხების სიღრმისეულად გაშუქებას, სამართლებრივ ანალიზს და ამ მიზნით ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩართულობისკენ მოუწოდებს.**

### ირაკლი ღარიბაშვილი – ჩვენი გმირი ჯარისკაცები გმირულად იცავდნენ ჩვენი ქვეყნის სახელს

**„მინდა შევახსენო ყველას, რომ ჩვენ ჩვენი გმირი ჯარისკაცები, ახლა ბევრი უკვე ვეტერანი, გმირულად იცავდა ჩვენი ქვეყნის სახელს, ღირსეულად წარმოაჩენდნენ ჩვენს ქვეყანას. ერთ დროს ავღა-**



**ნეთში ჩვენ ვიყავით, ყველაზე დიდი კონტინგენტით წარმოდგენილი კონტრიბუტორი ქვეყანა. იქ ჩვენ დავკარგეთ 30-ზე მეტი გმირი ჯარისკაცი, ასეულობით ჩვენი ჯარისკაცი კი - დაიჭრა. ესენი არიან ჩვენი დაუმარცხებელი, გაუტეხელი სამხედროები და ვეტერანები. ჩვენ ყოველდღე უნდა ვუთხრათ მათ მადლობა.**

**რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოების განვითარების საზომი არის ის, თუ როგორ ვუფასებთ ჩვენს ვეტერანებს მათ მიერ გაღებულ წვლილს, მათ ღვაწლს. ჩვენი ხელისუფლება ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვაკეთებთ და გავაკეთებთ მაქსიმუმს, რომ კიდევ უფრო მეტად დავაფასოთ თქვენი ღვაწლი. თქვენს მაგალითებზე უნდა აღვზარდოთ ჩვენ ჩვენი ახალგაზრდა თაობები. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ სწორედ ვეტერანების დაფასება არის ჩვენი ვალი, ჩვენი მთავრობის ვალი და მე გპირდებით, რომ კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ თქვენთვისდათქვენიღვაწლისდასაფასებლად. კიდევ ერთხელ, ჩვენი მთავრობის სახელით მადლობას გიხდით და გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

### AIR MOLDOVA-მ თბილისი-კიშინეუს მიმართულებით ფრენები დაიწყო

**კიდევ ერთი ახალი ავიაკომპანია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში - Air Moldova-მ თბილისი-კიშინეუს მიმართულებით ფრენები დაიწყო.**

**კიშინეუ-თბილისის პირველი რეისით, რომელიც ავიაკომპანიამ დღეს შეასრულა, 140 მგზავრი ჩამოფრინდა, ხოლო, თბილისიდან კიშინეუში - 133 ადამიანი გაემგზავრა.**

**ფრენები კვირაში ორი სიხშირით, ორშაბათს და პარასკევს, Airbus 319 ტიპის საჰაერო ხომალდით განხორციელდება.**

**ნოემბრიდან, ზამთრის სეზონზე, ავიაკომპანია ფრენების ყოველკვირეული სიხშირის ოთხამდე გაზრდას გეგმავს.**



# ნობელის პრემიასთან დაკავშირებული ყველაზე ხმაურიანი სკანდალები




**ოქტომბრის დასაწყისში ნობელის პრემიის 2022 წლის ლაურეატები გამოვლინდნენ. პრემია 1901 წლიდან ენიჭება. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ მიიჩნევა. ნობელის პრემიასთან არაერთი ხმაურიანი სკანდალია დაკავშირებული...**

**პრემიის დამაარსებლის პიროვნება.** ალფრედ ნობელს საზოგადოებაშიართუ საუკეთესო რეპუტაცია ჰქონდა, რადგან, გარდა იმისა, რომ დინამიტი და სხვადასხვა ტიპის ასაფეთქებელი ნივთიერება გამოიგონა, იარაღის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლის, კონცერნ „ბოფორსის“ მფლობელიც გახლდათ. ამ ფონზე საოცარი სულაც არ არის, რომ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ნეკროლოგი ნაადრევად დაბეჭდეს. მისი ძმა რომ გარდაიცვალა, ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა „სიკვდილით მოვაჭრის“ გარდაცვალების შესახებ. გამოცემას, მხედველობაში, რა თქმა უნდა, ალფრედ ნობელი ჰყავდა. სტატიაში საუბარი იყო სწრაფად გამდიდრებული მეცნიერის შესახებ, რომელმაც ქონება სასიკვდილო იარაღის შექმნით შეიძინა. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ მეცნიერმა პრემია საზოგადოებაში საკუთარი რეპუტაციისა და კეთილი სახელის აღდგენის მიზნით დააარსა.


ჰარალდ ცურ ჰაუზენი

**გენდერული თანასწორობა.** პრემიის არსებობის განმავლობაში, გამარჯვებულთა შორის ქალები მხოლოდ 5%-ს შეადგენენ. ეს გახდა იმის მიზეზი, ეჭვი შეეტანათ, თითქოს პრემიის კომიტეტი ქალების მიღწევებს უგულებელყოფდნენ. ყველაზე ხმაურიანი სკანდალი ბრიტანელ ასტროფიზიკოს ჯოსელინ ბელ ბერნელს უკავშირდება. სწორედ მან აღმოაჩინა გამოსხივების წყაროები (პულსარები) 1967 წელს და ენტონი ჰიუიშთან თანაავტორობით სტატია გამოაქვეყნა. 1974 წელს ამ აღმოჩენისთვის ნობელის პრემია მიიღეს ენტონი ჰიუიშმა და მისმა კოლეგამ, ხოლო პირველაღმომჩენი ქალბატონის ჯოსელინ ბელ ბერნელის სახელი არც კი გაჟღერებულა.

**ხუმრობით და სერიოზულად.** ძნელია იმის წარმოდგენა, რომ 1939 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე ნომინირებული იყო თვით ადოლფ ჰიტლერი. მისი კანდიდატურა მოხსნეს იმ ხმაურიანი სკანდალის შემდეგ, რომელიც ამ ინიციატივას მოჰყვა, ხოლო ჰიტლერის კანდიდატად წამოყენება არცთუ წარმატებულ ხუმრობად გამოაცხადეს.

**„პატივი მაქვს, უარი განვაცხადო“.** ნობელის პრემიის მიღება პრესტიჟულად და მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევა, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როცა ლაურეატებმა მის მიღებაზე უარი განაცხადეს. მაგალითად, ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი პრინციპულად უარს ამბობდა ყოველგვარ ჯილდოზე, მაგრამ ნობელის პრემიისთვის გამონაკლისი დაუშვა 1964 წელს.

1974 წელს კი ვიეტნამელმა პოლიტიკოსმა ლე დიკ ტხომ, რომელიც ჯილდოზე პრემირებული იყო ვიეტნამში მშვიდობის დამყარებისთვის, უარი განაცხადა მის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მის ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

**აკრძალული ხილი.** ადოლფ ჰიტლერმა გერმანიის მოქალაქეებს აუკრძალა ნობელის პრემიის მიღება მას შემდეგ, რაც 1935 წელს კარლ ფონ ოსეცკიმ გაიმარჯვა, რომელიც ჰიტლერს და მის პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებდა. როცა ჟურნალისტმა ნობელის პრემია მიიღო, ადოლფ ჰიტლერი განრისხდა და ალტერნატიული პრემია შექმნა, რომელიც მეცნიერებასა და ხელოვნებაში გაიცემოდა. შედეგად, რიჩარდ კუნმა (1938 წ.) და ადოლფ ბუტენანდტმა (1939 წ.) უარი თქვეს ქიმიაში მოპოვებულ პრემიაზე, ხოლო გერჰარდ დომაკმა 1939 წელს არ მიიღო ფიზიოლოგიასა და მედიცინაში მინიჭებული ჯილდო. საბედნიეროდ, მოგვიანებით გამარჯვებულებმა მაინც მიიღეს დამსახურებული პრემიები.

**ნობელის პრემიის ხარჯზე მესამე რეიხისთვის გაწეული დახმარება.** ნორვეგიელ მწერალს კნუტ ჰამსუნს რომანისთვის „მიწის ნაყოფი“ პრემია 1920 წელს კი არა, 1943 წელს გადაეცა, გაგანია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მან თავისი მედალი და ფულადი ჯილდო იოზეფ გებელსს, ჰიტლერის უახლოეს თანამებრძოლს გადასცა პატივისცემის ნიშნად. მწერალი თავგამოდებით უჭერდა მხარს გერმანიის მიერ საკუთარი ქვეყნის ოკუპაციას. ვერც ნაციზმის წაქეზება, ვერც ის, რომ გერმანულ მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ვერც მრავალრიცხოვანი ლიტერატურული დამსახურებები ვერ დაეხმარა კნუტ ჰამსუნგს, რომ ჰიტლერის კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

ნაციზმის მიმართ ჰამსუნის ლოიალური დამოკიდებულება თანამემამულეებისა და მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელობებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ, ომის დამთავრების შემდეგ ის სასამართლოს გადასცეს, სასჯელს კი მხოლოდ ასაკის წყალობით დააღწია თავი. ამის მიუხედავად, კნუტ ჰამსუნი მსოფლიო ლიტერატურაში უბადლო სტილისტად არის მიჩნეული და უმნიშვნელოვანეს ფიგურას წარმოადგენს, ჰიტლერისადმი მისი ერთგულება კი მის შემოქმედებაზე შავ ლაქად რჩება.

**ინტერესთა კონფლიქტი.** ბევრი დავა იყო 2008 წელს ჰერალდ ცურ ჰაუზენისთვის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელმაც პაპილომის ვირუსსა და ონკოლოგიური დაავადების განვითარებას შორის კავშირი აღმოაჩინა. გაირკვა, რომ კომპანია „ასტრაზენეკა“, რომელიც შიდსის საწინალმდეგო ვაქცინას აწარმოებს, ნობელის პრემიის საიტის სპონსორი იყო. გარდა ამისა, ამ კომპანიასთან იყო დაკავშირებული ორი ადამიანი, რომლებმაც ცურ ჰაუზენის სასარგებლოდ მისცეს ხმა. მოგვიანებით ჩატარებულმა შემოწმებამ ვერავითარი დარღვევა ვერ გამოავლინა, მაგრამ ჯილდოს გადაცემას მაინც მოჰყვა კრიტიკის ქარ-ცეცხლი.


ბობ დილანი

**ბობ დილანი და პლაგიატი.** ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებამ პრემია მუსიკოსისთვის მიენიჭებინათ, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მაგრამ, საბოლოოდ, ბევრი მაინც კმაყოფილი დარჩა. პრემიამ დილანს შესაძლებლობა მისცა, მსოფლიო აღიარება მოეპოვებინა არა მარტო როგორც შემსრულებელს, არამედ, როგორც პოეტს. კითხვები დილანის მიერ წაკითხული ლაურეატის ლექციის შემდეგ გაჩნდა. მაშინ ის პლაგიატში გამოიჭირეს — თავისი ტექსტის დიდი ნაწილი საბავშვო საგანმანათლებლო საიტიდან ჰქონდა აღებული.

ერთმა ფრანგულმა პერიოდულმა გამოცემამ საკუთარი გამოძიებაც კი აწარმოა, რომელმაც დაადასტურა, რომ დილანს მართლაც ჰქონდა მითვისებული ფრაგმენტები. შვედეთის ტელევიზიამ კი განაცხადა, რომ ბობ დილანი არ მალავდა, რომ სხვა ადამიანების ციტირებას ხშირად ახდენდა. ბოლოს კი ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მოდავე მხარეები შეთანხმდნენ: ნობელიანტი მუსიკოსის მიერ გამოყენებული ტექსტები ინტერნეტში დევს და ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატებისთვისაც.


პეტერ ჰანდკე

**პეტერ ჰანდკე და მისი არაპოპულარული პოლიტიკური შეხედულებები.** ავსტრიელ მწერალს, პიტერ ჰანდკეს ლიტერატურის მოყვარულები არა მარტო მისი ნაწარმოებებით, არამედ არაერთგვაროვანი ქცევითაც იცნობენ. მან გამაოგნებელი განცხადებები გააკეთა ბოსნიის ომის შესახებ და მხარს უჭერდა სლობოდან მილოშევიჩს. მასთან დაკავშირებით ყველაზე ხმაურიანი სკანდალი 2019 წელს გაჩაღდა, როცა ის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

განსჯის საგანი არა მარტო ჰანდკეს პოლიტიკური შეხედულებები, არამედ ჯილდოს მიმართ მწერლის დამოკიდებულება გახდა. მწერალმა არაერთხელ განაცხადა, რომ საჭირო იყო ნობელის პრემიის გაუქმება, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი მისთვის, რომ მედალი მიეღო. რამდენიმე ქვეყანამ ოფიციალური განცხადება გააკეთა ნობელის პრემიის კომიტეტის გადაწყვეტილების გამო. ისინი მოითხოვდნენ, ჰანდკესთვის სასწრაფოდ ჩამოერთმიათ ჯილდო. ვერც ქვეყნებისა და ვერც საზოგადოების აღშფოთებამ ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. ჰანდკემ კი ყველას ჯინაზე რომანიც დაწერა სათაურით „მეორე მახვილი“, რომლის სიუჟეტს საფუძვლად უდევს მთავარი გმირის ბრძოლა იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებმაც ოდესღაც დედამისს სახელი გაუტეხეს.

ყოველწლიურად 10 დეკემბერს სტოკჰოლმში ტარდება ნობელის პრემიების გადაცემის ცერემონია. ყველა ჯილდოს, გარდა მშვიდობის პრემიისა, შვედეთის მეფე გადასცემს. ცერემონიის შემდეგ ლაურეატებსა და მათ სტუმრებს სპეციალურ ბანკეტზე იწვევენ. 1901 წლიდან მოყოლებული, ბანკეტის მენიუ არ გამეორებულა, ხოლო ქრონომეტრაჟი არასოდეს დარღვეულა.

ნობელის პრემია, ალბათ, კიდევ არაერთხელ გადაეცემათ დამსახურებულად გამოვლენილ ლაურეატებს და ამ პრემიასთან დაკავშირებით კიდევ არაერთი სკანდალის მომსწრენი გავხდებით...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# სახალხო დიპლომატიას საზღვრები არ აქვს



საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია“ დაარსდა 2013 წელს. საქართველო ოდითგანვე სახალხო დიპლომატიის აკვანია ტოლერანტობისა და ერთაშორის საოცარი ჰარმონიული თანაცხოვრების სპეციფიკური გარემოთი. მსოფლიოში, კერძოდ კი საქართველოში არსებობს ცხელი წერტილები, ათასობით ადამიანი მოწყვეტილია მშობლიურ კერას. ეროვნებებს შორის მტრული დამოკიდებულება უფრო ღრმავდება. ხელოვნურად ხდება რელიგიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივება, ირღვევა ადამიანების უფლებები და თავისუფლებები. ყველა არსებულ პრობლემას დიალოგის გზით აქვს გადაჭრის შესაძლებლობა.

სახალხო დიპლომატიას არ აქვს საზღვრები, ეროვნება, ამიტომ ძალიან ეხმარება სახელმწიფოებრივ დიპლომატიას. ჩვენი მიზანია ქართველ და სხვადასხვა ქვეყნების ხალხს შორის სახელმწიფოებრივი, ისტორიული და კულტურული ურთიერთობების განმტკიცება. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ქართველების აღმოჩენა, წარმოჩინება, დაფასება. ხელი შევუწყოთ ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს სურვილი აკეთოს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე, მოხდეს ეროვნული ღირებულებების და ფასეულობების სათანადო წარმოჩენა და პოპულარიზაცია. გვაქვს ექსკლუზიური პროექტები და ჯილდოები, მაგ.: **„ხალხის სიყვარული“**, **„საუკეთესო საუკეთესოთა შორის“**, **„სახალხო დესპანი“**....



ორგანიზაციას ჰყავს ვიცე პრეზიდენტები ქვეყნებში: აშშ- ნიუიორკი – **დიანა ბაგრატიონი**, ჩიკაგო – **მაკა კვერენჩხილაძე**, ისრაელი – **ლეა საპირი**, ნორვეგია – **ქეთევან სხირტლაძე**; თურქეთი,სტამბული – **ნელი აფციაური**. გვაქვს გაფორმებული მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციებთან როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვრებს გარეთ.

გვსურს გავაღრმავოთ ურთიერთობები დიასპორებს, ემიგრაციას შორის და ამჯერად მინდა ვისაუბრო თურქეთზე, კერძოდ სტამბულზე, ბეიქოზში ბათუმის ქართული კულტურის ასოციაციაზე, რომელიც დაარსდა 1997 წელს. 2007 წელიდან მისი პრეზიდენტია **ალი ქემალ კილიკ ტარიელაძე**, რომლის წინაპრები წარმოშობით ქართველები იყვნენ, აჭარიდან, კერძოდ შუახევიდან. დიდია ღვაწლი ალი ქემალის, რომ თურქეთში შენარჩუნდეს და არ დაიკარგოს ქართული ფესვები, ქართული სული, ქართული კულტურა. მისი ხელშეწყობით ბეიქოზში ყოველწლიურად ტარდება მუსიკალური მინდვრის ფესტივალი. წელს ეს ფესტივალი ჩატარდა 1-10 ოქტომბერს ბეიქოზის ართვინის ქართული კულტურის ასოციაციის პარტნიორობით, რომლის პრეზიდენტი **მეჰმედ უზუნი** გახლავთ. ყოველწლიური ფესტივალის ფარგლებში ხალხი ეცნობა ქართულ კულტურას, სიმღერას, ცეკვას, ფერწერას, ფოლკლორს, სამზარეულოს. იცნობენ ახალ შემსრულებლებს, მხატვრებს, ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ანსამბლებს. წლევანდელ ფესტივალზე პირველად მიიღო მონაწილეობა მუსიკალურმა სტუდიამ **„პატარა ვარსკვლავები“**, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახლავთ ქართველი პროფესიონალი მუსიკოსი და კომპოზიტორი, საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიის“ ვიცე პრეზიდენტი სტამბულში **ნელი აფციაური**, რომელიც 30 წელია ცხოვრობს და მუშაობს თურქეთში მუსიკის პედაგოგად. მან არაერთი თურქი თაობა აღზარდა საქართველოსადმი სიყვარულით. ნიშანდობლივია, რომ ზემოთხსენებულ ფესტივალზე თურქმა ბავშვებმა შეასრულეს სიმღერა მეგობრობაზე ქართულ და თურქულ ენებზე ნელი აფციაურის მიუზიკლიდან **„რწყილი და ჭიანჭველა“** ცნობილი ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით. თავად მიუზიკლის პრემიერა 2022 წლის 12 ივნისს სტამბულში **„პერას“** სცენაზე გაიმართა. ტექსტი თურქულად და ქართულად, მუსიკა, ქორეოგრაფია ეკუთვნის ნელი აფციაურს. აქვე დავსძენ, ორგანიზაციის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით (ნინო ანდრონიკაშვილი – პრეზიდენტი; ვიცე პრეზიდენტები: ლეილა ნოდია, ბესიკ გამყრელიძე) ალი ქემალ კილიკ ტარიელაძე და მეჰმედ უზუნი მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ ქართველ და თურქ ხალხებს შორის ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის.



სახალხო დიპლომატია განავითარებს ურთიერთგაგებას, მეგობრობასა და სიყვარულს ადამიანთა შორის. ქართველებს გვაქვს რა ამის საუკუნოვანი გამოცდილება, შეგვიძლია ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ, როგორც ქვეყნის, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

პატივისცემით,

**ნინო ანდრონიკაშვილი**
„სახალხო დიპლომატიის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი

# რა იმალება „რუსული სტილის“ ბანქოს დასტაში

დღეისათვის იმდენნაირი გამოსახულების ბანქოს ქაღალდი იბეჭდება, დაწყებული პორნოელემენტებით, დამთავრებული არაბუნებრივი სახეებით, იქნებ, ველარც კი გაიხსენოს ადამიანმა რა გამოსახულების ბანქოს ქაღალდი ნახა პირველად, მაგრამ შედარებით ასაკოვან მკითხველს აუცილებლად გაახსენდება ე.წ „საბჭოთა კარტის სახეები“, თუ ფოტოებს დახედავს. ბანქოს ქაღალდზე კოლმეურნეები და პროლეტარები კი არა, რეალური ისტორიული პირები არიან გამოსახულნი — 1903 წელს რომანოვების სასახლეში ბოლო კოსტუმირებული ბალ-მასკარადის მონაწილეები.

1903 წლის თებერვალში გამართულ ბალზე მთავარი მოთხოვნა იყო რომ სტუმრები გამოცხადებულიყვნენ XVII საუკუნის, კონკრეტულად იმ ეპოქის სამოსით. დიდებული ზეიმი გაიმართა სანკტ-პეტერბურგის ზამთრის სასახლეში, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე გრანდიოზული და ცნობილი ბალი იმპერიულ რუსეთში იმპერატორ ნიკოლოზ II-ს დროს. ფოტოგრაფებმა დაბეჭდეს ბალის ყველა მონაწილის ფოტო, რამაც უკვე შემდგომში, ნათელი მოჰფინა ბანქოს საიდუმლოს. საიმპერატორო ბალის 390-ივე სტუმრის კოსტიუმის ესკიზის დამუშავება მხატვარ სერგეი სოლომკოს ეკუთვნის, ხოლო სამოსი შეკერეს რუსეთის იმპერიის საუკეთესო მკერავებმა.

მეფეების, დამებისა და ვალეტების სამოსი ბანქოზე ერთი ერთზე იმეორებს ბალ-მასკარადის მონაწილეების ჩაცმულობას. რაც შეეხება ტუზებს, მათზე გამოსახულია ძველი რუსული საბრძოლო იარაღები და აბჯარ-საჭურველი.

1911 წელს გერმანული ფაბრიკა „დონდორფის“ ოსტატებმა დაამუშავეს ესკიზები ბანქოსთვის და 1913 წელს ალექსანდროვსკის მანუფაქტურაში დაიბეჭდა სახელწოდებით „რუსული სტილი“, რომელიც მიეძღვნა რომანოვების სახლის 300 წლისთავს. რევოლუციის შემდეგ მანუფაქტურა დაიხურა, მაგრამ 1923 წელს განაახლა მუშაობა და მოგვიანებით საბჭოთა მხატვარ-ილუსტრატორმა იური ივანოვმა გადმოიღო ბანქოს ორიგინალები ოფსეტური ბეჭვდისთვის.



საკვირველი ის არის, რომ კონკრეტულად ბანქოს ეს დასტა გახდა პოპულარული საბჭოთა კავშირის სივრცეში და გრძელდებოდა მისი გამოშვება, როცა პარალელურად, სპეციალურად იბეჭდებოდა ბანქოს ქაღალდები სხვადასხვა პროპაგანდისტული მიზნით: „ანტირელიგიური ბანქო“, „საბჭოეთის ხალხთა ბანქო“, „ანტიფაშისტური ბანქო“ და ა.შ მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაუწია კონკურენცია.

**მაკა ჯაყელი**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: ზურაბ ოშხერელი

სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი) 555 33-44-14; თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია); 555 33-44-14.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99